

423
1868

ცისკარი.

1 8 6 8

ო კ ტ ო მ ბ ე რ ი .

წელიწადი მეთორმეტე.

წოდება თხზულებათა:


1. — ღარიბი. (ლექსი) ი. კერესელიძისა. — 2, ჩემს მოყვარეს, (ლექსი) ჰეგრელისა. — 3, ჯერ დაიბოცნენ, მერე იქორწილეს. (ეოდევლი ორს მოქმედებად.) თ. რაფუელ-ერისთავისა. — 4, წიგნი მიწერილი ნიკოლაოზ ბატონის-შვილსაგან, რუსეთის მეფის ალექსი მიხეილიჩთან. — 5, ლოტოს მოქმედება ოჯახზე. დავხდისა. განცხადება და სია „ცისკარზედ“ ხელის-მოამწერთა 1869 წელს.

ტ უ ი ლ ი ს ს .

კერესელიძის სტამბაში.

ღარბი.

(დიდის კაცის კარს მიხედავ, მოხსწევ მათუღს ზარისას,
შუბლზედ წურწურით ოფლი მოგდის, ძმაე, სამწარისა!
ელი გაგიღონ და თან შენთვის რაღასაც ბოდაე,
და ამ ლოდინში გულის სირღმით სპეცდავით ოხრაე!
ეს რა ოხრაა? ის ოხრაა, რომე შიმშილი
სწევია შენ სახლს და ვიტანჯვის ცოლი, წერილ-შეილი.
მათთვის მოითმენ ურცხვ კაცთაგან შეჯრაცხებასა,
ვინცა შეგხედება თავსა უკრაე კრძალვით ყველასა.....
აი მსახურიც, ფეხ წყნარ მოღას, გილო კარები,
და რამწაეს გნახა, გიბრიალა წყრომით თვალეში, —
აქ ცხადთ ნახე, დაგიბრიყვა ძმაო მსახურმაც,
მხოლოდ მე ვიცი, იმ წიხს იგრძნო რაც შენმა გუღმა!...
შეხველო, დაგიხედა თუძვირუასათ მორთული ზაღა,
ელი — ლოდინში ელევა მაგ შენ მუხლებს ძაღა!
ბოლოს გამოღის დიდ ალერსით, შენცა მხნედედები,
სრულის იმედით ფეკრობ აშას, შეებრალედი,
მაგრამ ამაოთ აქ ჩემო ძმაე აცდენ სიტყვებაა,
კეთილს ნუ ელი, თუ არ ისეე მისგან ტყედილებსა.
შენ წინ წამოვა მედიდურათ გესაუბრება,



ტბილის სიტყვებით იმედს გაძლევს, შენც გელიმება.
 აქ დაივიწყე, შენ, ცოლშვილის ძმაო შიმშილი,
 და ეს-ეს არის, ჰგონებ, ჰპოვე ალაგი ტფილი, —
 თუმცა გგონია, შენ ხედრისთვის ის ძრიელ დრტინაეს,
 არა ჩემო ძმაე, იმის ფიქრი სხვაგანა ფრინავს!.
 თვთ ხომ მალლა დგას, ღარიბთათჳა დაეძებს ბევრსა,
 ის წვრილბდ უფხვნის გამაძლარი, შენებრ მშიერსა.
 ლიტონის სიტყვით რომ გაგაძლოს, ამაოდ სცდება,
 მით რა აკლდება მის დიდებას, რა ენაღვლება —
 აჰა, გამოხველ, და რასაც წამს დაგიხშევს კარი,
 იმ წამს დიდ კაცმაც დაივიწყა ძმაე შენი გვარი!.
 ისევ ის ტანჯვა, ის სასტრკი შიმშილი გელის,
 არავენ არის ამ ქვეყანად შენი მშველელი, —
 იმედის ფიქრში დღე ღამდება, ღამე თენდება,
 სამწუხარო სვე შენის სახლის უფრო ბნელდება,
 დაჰვარგეს ძმაო შენ ცოლ-წვრილ-შვილთ რა სასოება,
 მათის პირითგან ისმის მხოლოდ შრთელი დღე წყევა.
 და ამ წყევაში, შენ უწყალოთ სულიცა გხედება,
 შემძლე ბევრს ეძებს, თვსებრ კაცი თუ ასე კედება!....

ი. კერესელიძე.

1868 წელ'ა, 9 ოკტომბერს.

სოფელს ბოგემი.

ჩ ე მ ს მ ო გ ვ ა რ ე ს .

წმინდასა გრძნობას, წრფელსა სიყვარულს
გიჟებ ღამცველო პატიოსნების;
მტკიცესა ქაემირს ჩუპნ მორის ნერგულს
შენც მიეც ღონე განძლიერების!
მაგრე ერთსაც გთხოვ, ეს წმინდა გრძნობა
მტკიცედ დაიცვა და დაიმარხო:
ისურვე ძმაო შემთხვევის გამო
მტერს მოლოდება არ განუმართლო!
გირჩევ ატარო ეით აქამომდე
შენ ჭაბუკობა შეუბღალეველად,
რომ ერთხმად ღირსნი მამულის ძენი
ჭებასა გძღენიღნენ განუსაზღვრელად!

..... მეგრელი.

ჯერ დაიხატუნ,

მერე იქორწილეს .

ეოდევდილიორს მოქმედებად.

მოქმედნი პირნი :

- 1, ოსევ შატლუტოვი — 50 წლისა (ვაჟარი)
- 2, სერგო, შვილი მისა — 18 წლისა (სამსახურში მყოფი.)
- 3, ელისაბედ შუბლოძის ქვრივი
- 4, მაშეო
- 5, აბოლონ } ამისი შვილები.
- 6, მართა, შოახლე შატლუტოვისა.
- 7, ივანე, მსახური ბუმბულაძისა.

მოქმედება პირველი დღის 10 საათედ.

მოქმედება მეორე დღის 12 საათედ.

მ ო ქ მ ე ღ ე ბ ა 1-ი.

ტეატრი წამოადგენს ქუჩიდან სახლში შესვალს კიბეს.
მარცხნივ სჩანს კარები ბუმბულაძის სახლისა, მარჯვნივ —
მატულუტოვისა. პირ და პირ კარი ქუჩისა.

გ ა მ ო ც ხ ა ღ ე ბ ა 1-ი.

სერგო მატულუტოვი (ბუმბულაძის სახლის კარებში
უძახის.)

მამიკო, სულიყო! ერთს მინუტს გამოიხედეთ, ძალიან სა-
კირო საქმე მაქვს.

მ ა შ ი კ ო .

მომიტევეთ, ვერ გამოვალ.

ს ე რ გ ო .

რატომ?

მამიკო.

საქმე მაქვს.

სერგო.

არც მე ვახლავარ უსაქმო, მეც საქმისთვის გეძახით.

მაშეკო.

მე საქმე კი არა მაქვს, მაგრამ... ეერ გამიბედნია თქვენ-
თან გამოსვლა.

სერგო.

რა მიზნია?

მაშეკო.

ვანა დგავიწყდათ, რომ დედამ აღმოკრძალა თქვენი ნა-
ხეა?

სერგო.

ჰერი ჰა! მაგისტანებს თუ აჰყე!..

მაშა (გამოდის.)

ოჰ, რა მოუთმენელი და გიჟი რამა ხართ!

სერგო.

რადგან ასეა, ერთი მართლა თავს მოვიგიჟიანებ და გა-
კოცებ. (ჰოცუნის ხელზედ).

მაშეკო.

კარგია, ნუ ცელქობ, არაფერ დაგეინახოს... ახლა ბრძანე
რისთვის შეძახოდი?

სერგო.

რისთვის და, მე მინდოდა შეხარებინა რამე.. არ იცით,
მე ხომ ჯილდო შივიდე!

მაშეკო. (სიამოვნებით.)

მართლა?!... ჯაშაგირი კი არ მოუმატებიათ?

სერგო.

როგორ არა! ჩინი და ჯამაგრიც! ორიც ერთათ! ესლა
დამრჩომია, რომ თქვენც აღკამაღლოთ, გაგხადოთ ჩემს
მეუღლათი..

მაშიკო [მოწყენით..)

ჰეი, ჰეი! ეგ სრულგზით თქვენზედ არის დამოკიდებული.

სერგო.

ესე იგი, გინდოდათ გეთქვათ, ჩემს ვალებზედ, — თქვენ
ამაზედ ნუ სწუხართ!

მაშიკო. (მხიარულებით.)

მართლა?

სერგო.

სწორეთ.

მაშიკო.

ეთომ როგორ ფიქრობთ მაგ საქმის მოხერხებას?

სერგო.

ძალიან ადვილბთ უნდა აიღოს კაცმა და გადიხადოს:
მაშინ საქმე გაწმენდილი იქნება!

მაშა. (წყენით.)

ნეტავი შენა! აღარცკი ირცხენი? საშინელი დაუღევარი
ბრძანებულხართ! სრულგზით არა გყვარებივართ, მე კი (ტი-
რის)...მე...(მრისხანეთ) მძაგხართ, რახან ასეა! მძაბრძანდათ!..

სერგო (განცვიფრებით.)

რაო? მაგას არა ჰხურობთ!

მაშეკო.

ბრაოდეს! (იქით მიბრუნდება)

სერგო.

კარგი! ძალიან კარგი!..მშვიდობით! მე მოედივარ. (მიდის
კიბისკენ) მშვიდობით, მაშეკო!

მაშეკო (შეკრთომით)

სად მიბრძანდებით?

სერგო. (დაწყნარებით)

სამსახურში, აგერ მეთე საათია და მეშინიან არ ღეგ-
ვიანდე.

მაშეკო.

მაშ მფრთხელებას აღარ აპირობთ?

სერგო. (მესდგება.)

მამ თქვენ აღარ მიწყობით?

მაშეკო.

აღარა, თუმცა ძალიან კი მაწყენინეთ.

სერგო (მობრუნდება)

ოჰ, სიკეთას ბუდე! ქალი კი არა ხარ, ანგელოზი ხარ!
მე ბეკრი დავაშავე თქვენთან, მაგრამ, სიტყვას გაძლევ, პა-
ტიოსანს სიტყვას, რომ ჭკუთზედ მოვიდე, ვეცადო ეალე-
ბიდგან გამოსვლა, ეიმრომო დღე და ღამე, ოღონდ კი მა-
პატიეეთ!...

მაშეკო.

აჰა გითხარ და გავფთავებ...

სერგო.

ჩემო სულის კოლოფო! სიცოცხლის ბუდე, ცხოვრების იმედო! (ჰკოცნის ხელზედ.)

მაშეო.

მართლა, ახლა კი დრო არის თქვენი სამსახურში წაბრძანებისა... მიბრძანდით...

სერგო.

მამ, მშვიდობით! (ჰკოცნის ხან ერთს ხელზედ, ხან მეორეზედ.)

მაშეო.

მშვიდობით! კმარა, კმარა..

სერგო.

მომითმინეთ, ერთიც საგზაო...

მაშეო.

კმარა, ტუჩები არ გეტკინოსთ... მშვიდობით...(ლოყას მიუშვერს და სერგო რომ დააპირებს კოცნას, მაშეო თავს მოარიდებს და სერგო მხარზედლა ჰკოცნის; მაშეო შეეარდება თავის ოთახში.)

სერგო.

ოხ! ათასი მანეთი რომ მოეცათ ჯილდოთ, ასე არ მიამებოდა! (მიდის და კიბეზედ შეეხეჩება აპოლონ ბუმბულაძეს) აპოლონს გაუმარჯოს (მარცხნივ მიდის და ამბობს) ოხ, სიყვარულო, ცხოვრების მეფე!

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 2-რე.

აპოლონ, შემდეგ ოსეფა შატალუტოვი და მართა მისი მოახლე.

აპოლონ (თბეს დაუკრავს სერგოს და თავისთვის ლაპარაკობს.)

სიყვარული! რა არის სიყვარული? ფუჭი ნიგოზია! მეტი არაფერი! (მივა თავიანთ კარებთან) დიდხანს ვისეირნე ბაღში; რა სასიამოვნოა როდესაც კაცი, შემდეგ ხანგაძლიერის მოგზაურობისა მოვა თავის მამა-პაპეულს სახლში და მიიკრავს გულზედ თავის დას. (კმაყოფილებით გიღიმებს) რა კარგათა ესტევი და!..

ოსეფ შატალუტოვი ქუჩიდან შემოდის და მოახლეს ელაპარაკება, რომელიც წინ მოუძღვის ტომარა წამოკიდებული.)

...მე თუ არბ ენადგლობ უკან სიარულს, მენ რა გენადგლება? კიბეზედ ეინც უნდა წინ წავიდეს, სულ ერთია.

მართა.

მაგას რატო ბრძანებ აღაჯან, მოახლეს იმიტომ ეძახიან მოსამსახურეს, რომ ბატონის უკან უნდა დადიოდეს.

ოსეფა.

მტრის ენა, ნუ დაიჯერებ! ბატონი მანც ბატონი იქ-

„ემა, თუნდ მოახლის წინ იყოს, თუნდ მოახლის
(ამოიღებს გასაღებს და კარებს აღებ“) აბა მიბრძანდი, ბეერს
ცერემონიაზედ მამა გიცხონდა ხელი აიღეთ! (მოახლე შე-
დის სახლში.)

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა ვ-მე.

აპოლონ და ოსეფა.

აპოლონ. (თავისთვის.)

ნამდვილი სიმართლე ეგ არის, სრული ჭეშმარიტება
არის! მალალი მსჯელობა!.. (ოსეფას) პარუნ ოსეფას გა-
უმარჯოს!

ოსეფა.

ოჰ, შენა? ღმერთმა ჰყუა მოგცეს, როგორა ბრძანდები?

აპოლონ.

გახლაფართ, პარუნ, თქვენ როგორ გიკითხოთ?

ოსეფა.

რაექნა! რაღა საკითხავი ვარ: კიბეზედ ევლარ აესულ-
ვარ, გულის ქნეშა მომდის: მანამ ავალ ორას ორმოცი
უნდა დაფახელო.

აპოლონ.

იალლიშათ არ იყოთ: იქნება ორას ოცს ახველე-

ბოუ..მაგრამ, თქვენ თვთონ რაზედ იწუხებთ დალოცვი-
ლო, თაესა, ბაზარში სიარულით?

ოსეფა.

მამ რაეენა? მსახურს თუ ენდე ეხლანდელ დროში, აღარ
შეგრჩება გროში! აბაზში ერთს შაურს მაინც მოგპარამს.

აპოლონ.

ერთს შაურს?

ოსეფა.

არა, შაურს არა, მაგრამ, ისე ვამბობ რაღა...მაგალი-
თათ ...ყველგან თვალი უნდა, ხომ იცი? ბაზრიდან რომ
მოვდივარ, გოგო ჩემ წინ მომყავს ნაეაჭრი ხორაგითა,
ამიტომ, რომ მსახური ფულს თუ ვერ გამოგრჩა,
სტაფილოს მზინც ამოგაცლის, ან ბოლოკს...ყოფელ დღე
რომ ასე იპარონ, წელიწადში 365 სტაფილო იქნება, ან
ბოლოკი...

აპოლონ.

თუ ნაქიანი წელიწადია? მაშინ 366 იქს.

ოსეფა.

ეჰ, მასხარაზე! ახლა რაეეენათ, მწყინს, მაგრამ შოახ-
ლეს უკან კა მოეჩინალებ,

აპოლონ (მაღლა იყურება და ყვირის შეშინებულივით:
არიქა, ოსეფჯან, სახლი იქცევა, სახლი!

ნათესავი ოსეთა. (ჩამოდგება სიჩქარით შეშინებული.)

ეხ, ეხ!...ოჰ, რა ფინთი ვინმე ხარ? ახარ მე თავებთ
ქმენა მკლამს, შენ კადენ გულს მიხეთქამ, ყურუმსაღო!..

აპოლონ. (კმაყოფილების ღიმილით.)

ნუ გეშინიან, არაფერია; გეხუმრებოდი.

ოსეთა.

ახარ, ასე იქნება? რა ბრიბ-ბრუ რამა ხარ! იმ ღღესაც
კაი მასხარობა მოგივიდა, აი, ის იყო, სულ ყველას ჩა-
ეძინა, შენ კი შეჭქენ ღრიალი: დაეწვიოთ, დაეწვიოთ! წა-
მოვტოთ, დაერბივართ, ქალებს გული მისდით, მე თვთონ
კინალამ არ მოვევდი! გამოველ აქა, შენ კი გიჟივით იციანი..

ახარ გაგონილა ამისთანა ტუტუტუცობა?

აპოლონ.

მაშ რა შექნა? შინ მოველ სხეგნიდან, ვხედავ ყველასა
სძინავს; ვიფიქრე, მოდი ერთი გამოვედნი ჩვენების სიმარჯვესა
და ოსეთას გულადობასამეთქი: შევიძახე თუ არა „დაეწვიოთ“,
მთელს ხალხში ასეთი აყალმაყალი შეიქნა, რომ შენი
მოსაწონი!..-

ოსეთა.

შენ მაშინ ნახამდი სეირს, რომ ეჩივლა ვისმეს! მეც დედი შენის
ხათრი შევინახე თორემ, გიჩვენებდი შენს თამაშს!

აპოლონ (სიცილით.)

მართლა?!. ახლა წასრულის საქმეს თავი დაეანებოთ და
აწმყოზედ ვილაპარაკოთ. თქვენ ბრძანებთ რომ უძღურათა

მართ და ბაზარში კი უოველდღე დადიხართ; რა გეჭირთ რომ თქვენი შვილი გაგზავნათ ხოლმე.

ოსეფა.

რაო? ჩემი შვილი? სერგო? იუბდრებს კი! იმან სამსახურმა იცის, მეტი არაფერი. — თვეში ორ თუმანს გადმოგიგდებს და მეტი აღარაფრის ნაღველს არა სწევს, არც სახლისას, არც პურისას, არც ღვინოს, არც შეშას.... არა, ახლანდელმა ჯეფლებმა ფრანტოების და ბანქოს თამაშობის მეტი ინჩი არ იციან, ინჩა!...

პოლონ.

სწორე მოგახსენოთ, მეც ძალიან მიყვარს ქახალდი... მერე კიდენ ყმაწვილ კაც კარგი ჩაცმა ჰქვების, ფული უნდა.... სიცოცხლე, ხომ იცი, მოკლეა! უნდა ისარგებლოს კაცმა დროთი და დროებით, ჯნდა სიამოვნების ბაღში გაეხვიოს და დაიჭიროს სიტკბოება....

ოსეფა.

ღიახ, ღიახ! ჩემა სერგომაც ასე არა ქნა! კარგს ბაღში გეეხვია: ერთი ორასი თუმანი ფული ეალი დაიჭირა და ახლა დადის ბუზებსა სთელის...

პოლონ.

ეგ წასული საქმეა პარუნ ოსეფ. ახლა ხომ დაჭკვიანდა, ფულებს აღარ აბნევს, ეალს აღარ იღებს...

ოსეფა.

ეგ რა კარგი ბრძანე!... ნეტავი მე მეთქო! არა ტუტუცო, რა დააბნიათ, რომ აღარაფერი აქვს, ვისგან ააღოს ეალი,

რომ აღარაფერ ენდობა?..

აპოლონ.

არც თქვენა ბრძანებთ ცუდათ! ძალიან ჰქვიანურათა ბრძანებთ... მაგრამ თქვენისთანა მამა კაცსა ჰყვანდეს და ვალისთვის შეწუხდეს?!..

ოსეფა.

არა ბატონჯან, ვისაც მურაბა უჭამია, არაყიც იმან დალიოს. განა ჩემს შვილს მაგისთანა აბილას მიესცემ, რომელი მე გადღუხალო?!.. თანემომწონე ვაჟა — ეწყინება... მერე კიდე არ მიყვარს სხვის საქმეში გარევა...

აპოლონ.

ოლონდ თქვენ გადუხადებთ და თაველები მე ეყენები რომ არ ეწყინოს.

ოსეფა.

კარგი თაველები ხარ, მაგრამ შენ კი გენდობი?

აპოლონ.

ფეშტ კარგათა ბრძანე აი, პარუნ ოსეფა.

ოსეფა.

არა უშავს რა, ერთი ოთხი წელიწადი რომ თავეები ითამაშებენ ამის ჯიბეში, მაშინ ფულის ყბდრს ისწავლის.

აპოლონ.

ანკი რა გგონიათ ეს ფული? გროშათ ვიყიდი? ოქრო!.. რა არის ოქრო? მტვერია, სხვარა?..

ოსეფა.

დიახ, დიახ! იმიტომაც თუ გაქულსთ რომ დედა თქვენს ბევრი აქეს და ნახევარი თქვენ დაგრჩებათ იმის შემდეგ.

აპოლონ.

სულაც არა! (მზურვალეთ.) ერთი ეს წარმოიდგინეთ: თქვენს შვილს უყუარს ჩემი და, გაჟდება იმისთვის, ჩემი დაცუარს არ არის რომ იმას წაჰყევს ცოლათ, აქ ვნასოთ რომ შუა აღუდგება რაღაცა დამაბრკოლებელი მიზეზი, ვი-
დაც საძაგელი მოვხლფ...ეჰა მშობელო! რიღსთვს მოაულებ ბედნიერებას თქვენს ნაშობს შვილსა? ორასი თუმნის გულისათ-
ვის? — ერთი სიტყვის თქმის მეტი ხომ არა გინდათ რა?

ოსეფა.

მამი შენის ცხოვრებას არ შეიძლება ვიცოდეთ, რა სიტყვაა ისა, რომელსაც მაგისტანა ძალა აქვს?

აპოლონ.

რა სიტყვაა? (აღტაცებით): გარდავიხდი!

ოსეფა. (დაცინებით პუპლიკისკენ.)

ეა, რა ჭკვიანია! (აპოლონს), შენ რომ მაგისტანა და-
რღიმანდი ხარ, შენი შვილი რაღა იქნება! მამ შოდი ერთი დედაშენს ურჩიე თბვისი ქალიც გააბედნიეროს: იმისი მზი-
თვიდგან ჩემი შვილის ვალი მისცეს — და საქმეც გათავ-
დება რაღა.

აპოლონ.

შე დედაჩემს ეუთხარი ეგ სიტყვა, მტარამ, ხომ იცი,

ის, სუსტი აგებულების ადამიანია, სხვა ნაირი ხასიეთის პატრონია...

ოსეფა.

სწორე მოგახსენო არც მე ვარ ღონიერი და ხასიეთიც ბაღისა მაქვს. —

აპოლონ. (პუბლიკისკენ.)

საწყალი, რა პაწაწუნაა! — თითზე არ მიგიბნოს. (ოსეფას) მე ვხედავ რომ თქვენ და დედა ჩემს ფეტვის მარცვლი არ გაქციეთ ზელიდგან; სიპის ქვიდგან ზეთს გამოადნეთ.

ოსეფა. (წყენით).

მაშ დედა თქვენი თუ ზეთს ბუთებს, ფაფაც შენ გიხაროდეს, რაღა.. მაგრამ, მშვიდობით, დაეიდარაბის თავი არა მაქვს... მშვიდობით. (შეიკრთა).

აპოლონ. (პუბლიკისკენ.)

რა სულელია! რა ეწყენინე, რომ გაჯავრდა? ბიჭო! (შესძახის თავის ბიჭს.) ბიჭო! გააღე!

ხმა ივანესი.

ვინაზარ, ეი?

აპოლონ. (ბიჭს).

შე მხეცო, ვერ მიცან ხმაზე? (ქარს გაუღებენ, შევა სახლში.)

გ ა მ ო ო ო ო ო ო ო 4-ზე.

ელისაბედ და სერგო. (შემოდინ კიბიდან, ელისაბედ განაგრძელებს ლაპარაკს სერგოსთან.)

დღეს როგორღაც ადრე წამობრძანებულხართ სამსახურიდან...ჩინი რომ მოგემატათ, იმიტომ თუ? ახლა შრომაც ხომ ნაკლები გექნება?

სერგო.

რა ბრძანება? — კაცს როგორც ჯილდო ემატება, მას-თქმე შრომაც. — მე იმიტომ წამოველ ადრე სამსახურიდან, რომ შინ ეიმღშაო. მოგეხსენებათ, შინ უფრო იბეჯითებს კაცი. —

ელისაბედ.

ახლა, ჯამაგირიც მოგიმატეს?

სერგო.

დიახ, სამასი მანეთი.

ელისაბედ.

მადლობა ღმერთსა! მაშ ახლა თქვენ საქმეებსაც გამოაკეთებთ.

სერგო.

ვესდები, რაც კი შეიძლება ჩემგანით... ბატონო ელისა-
ბედ!.. ხომ აღარ მიწყრებით?.. [თავ მოკატუნებით) ან იმედს
მძლევთ რასმეს?..

ელისაბედ.

რა საკვირველია! ოჰ, დედაშვილობა! მე, ხომ იცი,
სულით და გულით მიყვარხარ, კარგი ემაწილი კაცი ხარ,
მაგრამ, ის წყეული ვალები!.. [ალერსით, მხარზედ ხელს უბა-
რტყუნებს,) მოიშორე ბარემ და ქორწილიც გაეჩარხოთ!..
ჩემი მამო, ხომ იცი, შენი მაყურებელია.

სერგო.

რა ეშმაკი მომაშორებს იმ ვალებს? ჩემი ჯგჷმაგირით სამს
წელიწადსაც ვერ გადავიხდი და მანამდინ რაუყო, საით წავიდე?..
ელისაბედ.

ხუმრობა კი არ არის, სამი წელიწადი: ორნივე დაჰყნდე-
ბით მწუხარებით, ჩემი შვილების სიცოცხლემ!.. მამი შენი-
სათვს გეტქო, იმისთვს სუ აღვილია მაგ ვალის გადახდა-
მერე კიდენ, რარიგათ უყვარხარ.

სერგო.

მართალია, მაგრამ, ფული უფრო მომატებულათ უყვარს
ელისაბედ.

დახე, რა ბოროტებაა, ფულის სურვილი, ამში როგორ
უნდა გაცვალოს კაცმა თავისი შვილი... ძუნწობა? დიდი....
დიდი სპეგლობა!

სერგო. (იქით.)

შენ მაინც არ მეუბნებოდე მაგას!

ელისაბედ.

მეც მოხუცებულობის დროს მოვისვენებდი, რაკი მაშინ-
კოს დავაბინავებდი.

სერგო (ცოტა დარცხვენით; არ იცის
თუ როგორ დაიწყოს.)

ბატონო....ელისაბედ.. მ..მ..მ...მომისმინეთ, შენიჭირიმე...

ელისაბედ.

ბრძანე.

სერგო.

ბატონო...მე შგონია; აქ ანგარიში სწორე იყოს...თქვენ
კი არ ეიცი როგორ განსჯათ..ეს მიბრძანეთ; ხომ თანხმა
ბრძანდებით მაშინო მე მომცეთ?

ელისაბედ.

უეჭველად! თუნდ ამავე წუთში, ეხლავე-ეხლავე; მაგას
რალა ჩიჩინი უნდა...

სერგო.

მზითევსაც ხომ აძლევთ?

ელისაბედ.

რა საკვირველია! უსიკვდილოა, შეიძლება თუმანი ქრთაში
აღალი ფული აქეს, ბიძისაც დარჩა, ღმერთმა შეარგოს!

სერგო.

მამ იციო რა?

ელისაბედ.

რა შეილო?

სერგო.

მზითვით მომეცით მარტო ხუთასი თუმანი და ორასი
კი ჩემს ვალებში მიეცით.

ელისაბედ.

უი, ჩემს თავს! ეგ როგორ გამაგონე? როგორ შემძლიან
ჩემი ქალის ფულს შევესო!.. რათ წავართო ორასი თუმა-
ნი? ეს უსინდისობა იქნება!.. მაგას როგორ გაეხელაუ!

სერგო.

ჩვენ ხუთასი თუმანიც გვეყოფა!.. თუ გნებათ მე აშაზელაც
დაგყაბულდებით, რომ მარტო ორასი თუმანი ჩემს ვალში
მისცეთ, მეტი აღარა მინდარა.

ელისაბედ.

თქვენც არ დამეხოცნეთ და თათუაც არ წამაწყდეს, მე ეგ
არა ვქნა! ეუი ჩემს თავს! ეგ რა მითხარი?.. ყმაწვილები
ხართ და მარტო ჯამაგირი როგორ გაცხოვრებთ?

სერგო.

მამ კარგი: არც ეგ მინდა, ოღონდ ნება მოგვეცი ჯვარი
დავიწეროთ. თქვენი ლოცვა კურთხევა გვინდა.

ელისაბედ.

ღმერთმა გაკურთხოთ, შეილო, მაგრამ ქორწილზედ თა-
ნახმა არა ებრ, მანამ ვალებს არ გბდაიხდი.

სერგო. (იქით)

ლაშქველოს ღმერთმა! მოდი და ამისთანა გიჟს და
უგუნურს დედაკაცს ელაპარაკე. (ელისაბედს.) ბატონო ელი-
საბედ!

ელისაბედ.

მიბრძანე, შვილო.

სერგო.

ეხედავ რომ თქვენთან არა გამივიდარა. მეტი ღონე
ალარ არის, უნდა მოვითმინო. მაგრამ, ერთი მოწყალე გა-
მანც მიყავით..

ელისაბედ.

რა შვილო?

სერგო.

ნება მომეცით, მოვიდე ხოლმე ხანდისხან თქვენთან და
მამიკო ენახო ხოლმე.

ელისაბედ.

ეჟი ჩემს თავს! ეგ რა თქვი შვილოო.

სერგო.

რა ესტევი? — რა იყო ამასი ცული?

ელისაბედ.

როგორ თუ რა იყო? — აღარ წამოგცდეს, ხუმრობა არ
არის. მაგას როგორა ექ რომ გასათხოვარს ქალზედ ქე-
ყანა ელაპარაკო, სახელი გაუტყდეს.

სერგო.

რათა, რათ გაუტყდებო სახელი?.. მაშეკოს ხოლმე მპირ-
დებით, მაძლევთ, და ქორწილამდის რომ ვიარო როგორც
დანიშნულმა, სპეკმოვ, ამაში მე ცუდს არასა ვხედავ?.. არცა-
რაფინ იტყვის რასმეს?

ელისაბედ.

მაგას ნუ იტყვი მამი შენის მჭეს, განათლებული კაცი
ხარ.. არ იცი რომ ცუდი ენა ყოველთვს იშოვის მიზებს
ლაპარაკისას?.. მოიცა შეილო, იქნება თავისით საქმე საქმე-
ზედ მოვიდეს როდისმე!

სერგო. (იქით)

დმერთი გზგბტიანებს!.. (პუბლიცისკენ) ეს რას ინადელის:
ამას თავისი დრო მოუტყამია და მე კი აღარა მკითხავს!

ელისაბედ. (აღერსით)

ასე, შეილო, ამდენი გიცდიათ, ცოტაც მოიცადეთ..
მშვიდობით.. (თავის ოთახისკენ მიდის, სერგო თავს უკრა-
ვს და მანამ ელისაბედ შინ შევა, თავს აქეთ იქით აქანებს,
შემდეგ მოთმინებიდან გამოსული.)

არა, ამას ზარბაზნატი რომ ჰკრა, მაშინაც ევრას გააწ-
ყოფ.. მითომ უნდა ხასიეთი გამოიჩინოს.. ამათ ჰგონიათ
ვალეზი გადიხადეო. — რა ეშმაკათ გადავიხადო, რომ გრომი
არა მაქვს, და ამ მიზეზით კი მეც მტანჯავს და თავის ქა-
ლსაც აუბედურებს.

სერგო და მაშეკო (გამოდის.)

სერგო (ვერა ხელავ მაშიკოს და ისე
ანბობს.)

მაგრამ, ეგ საიდან მიხვდება ამასა!.. იმის გოგრაში ვინ
შეიყვანს ამ ჯრსა? ამოჟინია, რა კი ვსტყვი, აღარ გადა-
ვალო ჩემს სიტყვასო.. ვინ ოხერი ეხვეწებოდა ეგ პირობა
დაზდეო!.. ქოფაჟი!

მაშიკო.

სერგო! შენა ხბარ?.. ვის ამგობ აგრე მშვენიერათი!.

სერგო.

დედა თქვენს, თუ უტაცრაოთ არ ეიქნები!

მაშიკო (მკაცრათ.)

დედა ჩემს? გრცხვენოდეს მბგ თქმისათვის. გრცხვე-
ნოდეს!

სერგო. (ბოდიშით)

მომიტყვეთ! მე არა მესმის რა, რას ეამბობ, რბს ებოდაე.
მომიტყვეთ! სულ ყველა შენის სიყვარულისათვის მომდის
ესა!

მაშიკო.

არა მგონია... ლანძღვა, რა სიყვარულია?.. რათ მიამბე
დედის ჩემს ლანძღვა.

სერგო. (მწუხარებით)

თქვენ მაინც მომისმინეთ, თქვენ მაინც შემიბრალებთ! რა
მე დედა თქვენმა აქ სიტყვები მითხრა, მიგვირს ან კი ჭკუ
როგორღა შემრჩა..

მაშიკო (გზნცვიფრებით).

ქა! რა გითხრა იმისთანა, რომ გასაგიჟებელი ყოფილიყო?
სერგო.

მე ის როგორ გასაგიჟებდა, მაგრამ..

მაშიკო.

რაც უნდა იყოს, მაინც ლანძღვა არ უნდა გეკადრებინა, მოხუცებული აღზმანიისთვის და იმის დედისთვის, ვისაც თქვენ ეტრფით, თუ არა სცრუობთ...

სერგო.

ლანძღვა კი არა, სხვა უჩემოთ, იმას ასე მიამტყრედა, რომ შენი მოწონებული. ახ, უკაცრავად! რაებს ეამბოზებოდა, მე თვითონ არ მესმის...თავს ბრუ მესმის..შემიბრალეთ..მე რომ აქ არ ვიყო, საცა ვარ, — ვიტყვებდი...(ტირის) მაგრამ..ამას რაღა თქმა უნდა, ჰხედამთ?..ჰხედამთ?.. რომ ესტირი?..

მაშიკო (ტირილით)

რათა, შენიჭირიმე!(პუბლიკისკენ) ჰხედამთ? მართლა ტირის!..(სერგოს) კმარა შენიჭირიმე, კმარა..თვალები გეტკინება.. (თვალებსა სწმენდს ხელსახოცით)

სერგო. (ტყუილის ტირილით).

მაშიკო! შენ მაინც რაღა გატირებს? დეე მართა მე ვიტანჯო..დაჩუმდი შენი სულისა! (თვალებსა ჰსწმენდს ხელსახოცით) მე მაინც მთელი ღამე საწერი შაქეს და გათენებამდის ვიტყვებ!..

მაშეკო.

რათა, რათ იტყვი? თავი გეტყინება..თვალები დაგისივ-
დება და ხეალ სამსახურში სიცილს დაგიწყებენ: (ეფერება)
კმარა, სერგოს ჭირიმე!.

სერგო. (ტყუილის ტირილით).

არ იქნება თუ არ ვიტყვ!

მაშეკო.

თუ გიყვარვარ:

სერგო.

კიდევ იმიტომ ესტირი, რომ მიყვარხარ.

მაშეკო.

გახეწები! (ჰკოცნის ლოყაზედ) აჰა, ოღონდნულარ იტი-
რებ! —

სერგო. (იქით)

ოჰ, რა მიამა! (ტყუილი ტირილით) არა, არ შემე-
ძლიან!

მაშეკო (ჰკოცნის კიდენ)

კარგია, გეყოფა!..

სერგო. (ტყუილის ტირილით)

არა, არ მეყოფა!..(იქით) ამის მეტათ არ მინახავს რომ
ქალს თითონ დაეწეოს...(პუბლიკისაკენ) ახლა უფრო რაღა
დამაჩუყებს! [მაშეკოს], არა, არ შემეძლიან, ღამე კი არა,
დღევ ვიტყვებ, სამსახურშიაც ვიტყვებ...

მაშიკო.

მე გთხოვ... ჩემის გულისთვის დაჩუმდი!

სერგო, [იქით].

არა ჰგბეს დედას! იმასავეთ კი კრიჭანგი არ არის [მაშიკოს] არა, არ შემძლიან!

მაშიკო [ეხვევა და ჰკოცნის]

კარგია, ემარა!

გ ბ მ ო ც ხ ა დ ე ბ ა ნ-სე.

იგინივე და ელისაბედ.

ელისაბედ.

ეუი. ეუი, ჩემს თვალებსა!. ეს რა ამბავია?! [ლოცებს იკაწრავს ორივე ხელით].

მაშიკო [უკან დაიწევს შემინებული].

ეუი!

სერგო [იქით].

ეს ბებერი რაღა ემზება შოიყვანა აქა! ის იყო გრძნობაში შეველი.

ელისაბედი (ქალსა).

შე უსირცხვილოე! შე უნამუსოე! ეს რა ამბავია, ჰა? რაზედ ამაძაღლე შე მოხუცებული, ჰა?.. ეს რა ამბავს შემასწარა?.. აქ უცხო კაცს კისერზედ ეხევე?.. ოთახში მაინც ყოფილიყო, შე ურცხო, აქ რომ გამოსულხარ საქვეყნო მარაზედ.. ახლა რას იფიქრებენ, რას იტყვიან, ჰა?..

სერგო.

ბატონო ელისაბედ!

ელისაბედ [სერგოს.]

გაჩუმდი! ზენი რიგიც მოვა (მამიკოს) არა, აქ რამ მოგიყვანა, ჰა?

მამიკო. (ტირილით)

დედილო!..

ელისაბედ. (გაჰპასუხებული).

გაჩუმდი, შე ურცხო! განა პასუხსაც ბეღამ?.. მე, სულელსაც, მეგონა მეზობლისას მივიღა მეტეი კაბის ზომისათვის და ეს კი ვის ეზმანება აქა, ევრა ჰხედაეთ?..

მამიკო.

დედილო, მე ისე უნებურათ..

ელისაბედ (გაანჩხლებული).

რაო? უნებურათო?! ერთი შახედეთ ამ უნამუსოსა!.. არა, მემსახურები კიდევ?.. ევრა ჰხედავ რომ ჯერ ისევ დღე არის?..

სერგო.

ბატონო ელისაბედ!..

ელისაბედ. (სერგოს)

გაჩუმდი მეთქი! შენი ღროც მოვა!.. (ქალს) მაგრე
შეასრულე ჩემი დარიგება?...

მაშიკო.

დედას მზემ, მე....

ელისაბედ.

გაჩუმდი — მეთქი! ლაპარაკსაც ჰბედავ?

სერგო.

(ძნელად) ბატონო!..

ელისაბედ. (განჩხლებული)

გაჩუმდი... არ დამაცლი, ჩემს ქალს ანგარიში მოეთ
ხაოვ?

სერგო. (იქით)

დაგლახროს ღმერთმა!. გაჩუმდა და გაჩუმდი.. განა
პირუტყვი ვარ?

ელისაბედ (ქალს)

არა.. არა გრცხვენიან, შე ურცხო, რომ კისერზედ ჩამო კი-
დებიხარ ამას?..

სერგო. (ელისაბედს)

ჩინოვნიკს, თუ გნებავთ რომ იცოდეთ;

ელისაბედ. (სერგოს)

ბატონე სული, შე პირშაო!.. (ქალს) მე შენა გკითხამ,
არა გრცხვენიან? პასუხსაც აღარ კადრულობ?...

მაშეკო.

დედილო!..

ელისაბედ (ქალს)

ხმა ჩაიკმინდე, შე აღქაჯო, შე როსკიპო შენა!..

სერგო. (იქით)

დაგწყევლოს ღმერთმა! ე რაყოფილა? [ჰბაძავს ელისაბედს.]
გაჩუმდი, მიპასუხე, მიპასუხე, გაჩუმდი... რომელი ერთი
ქნას კაცმა.

ელისაბედ: (ხელს წაბელებს ქალსა და სახლში შეაგდებს)

აქ მობძანდი, შენ შინაც გაგისწორდებით, (სერგოს შე-
უტყევს) აბა ახლა ჩვენ მოვიღბპარაკოთ...

სერგო (უკან დაიწევს)

ბატონო ელისაბედ!

ელისაბედ:

ჩუ...არა...არა გრცხვენნიან? ქალს როგორ შიბრიყვებდი?..
თავისი მოვალეობა დააფუყებინე, შეარცხვენე, ყელი გამო-
სჭერ...ეს იყო ჩემი სიყვარულის სამაგიერო?..

სერგო.

ბატონო ელისაბედ!.

ელისაბედ.

ხმა გაიწყვიტე!..

სერგო.

კიდევ! აი დიდება შენთვის!..

ელისაბედ.

მე კარგი კაცი მეგონე, პატიოსანი, მიხაროდა, ჩემს
ქალს მიეცემოქო. შენ კი გაშაუპატიურე მოხუცებული..
ღამეაღი..

სერგო. (მოთმინებიდან გამოსული)

გაჩუმდი ბებერო!

ელისაბედ. [უკან დაიწევს]

რაო?!

სერგო. [გაფიცებული.]

გაჩუმდი მეტი! მოთმინებიდან გამოველი.. რაც დაფქვი
გეყოფა, ახლა ჩემი რიგია.. არა გრცხენიან წერილმალ
ანგარიშების გულისათჳს ჰლუპავ ქალსა? გინდა განაშორ
საყვარელს კაცს, იმისთჳს რომ ფულების მოშორება? ახლა
კიდევ აყვედრებ, მაგას კისერზედ რათ ჩამოგიდეო, როდე-
საც შენ თვითონ მიახწეეინე შენს ქალს აქნობამდის!

ელისაბედ.

რაო?!

სერგო. (გაანჩხლებული.)

გაჩუმდი, ქოფაკო! შენა ხარ ყოვლისფერი შიზეზი, შენა
შენი თანსმოზა რომა გექონოდა ერთმანერთის ნახვისა,
ჩვენ აღარც კიბეზედ ვესაყვარლებოდით ერთმანერთს და
აღარც სხვაგან.. მე თქვენთან ვიელიდი, ხალხი ეკრას დინა-
ხაედა, ეერასფერში დაგეძრახამდა!

გ ა მ ო ც ხ ა ღ ე ბ ა 7-ღე.

იგინიეე და ოსეფა.

ოსეფა.

ინჩხაბზრე? რა აყალ-მაყალია?

ელისაბედ.

პარუნ ოსეფ! ღმერთი იწამე, მოგვაშორე ეს შენი შვილი, — სულის ღვმა აღარ არის, — ლამის გამლახოს.

სერგო. [ელისაბედს]

ღირსი კი ხარ მე და ჩემი ღმერთმა.

ელისაბედ. [ოსეფას]

სერგო! ახარ, ხომ იცი რომ ქალს პატივი მოუხდება?

სერგო.

რომელია ქალი? ეგ ქალი კი არ არის, ბაიყუშია!..

ოსეფა.

რათა შეილო? რათ არის ბაიყუში? ტუტუტოზა როდი ვარგა. ჯერ ერთი ესა რომ შფოთი არ უნდა მოგიეიდეს? მეორე რომ დავიღარაბა ჯიგარს წაგიხდენს; მესამე რომ ბრაზიან კაცს ვირის აბანოში ჩასმენ.

სერგო.

ვირის აბანო რა არის?

ოსეფა.

ვირის აბანო?.. ის.. ნაობახტია შეიღო.

სერგო.

„უკაცრაოთი მე ვერავენ ჩაშსოშს. მე ხელმწიფის ჩინოვნიკი გახლავარ.

ოსეფა (დაცინების ღიმილით,]

ჩინოვნიკი კი არა, პოლიოენიკი რომ იყო, მაშინაც ჩაგსმენ, თუ დავიდარაბაზედ ხელს არ აიღებ, და თუ დინჯათ იქნები, ყველა დავაძახებს; აქაში ბლაღოროდი, პრაშუ პოკორნო!... გესმის?..

სერგო. (ელისაბედზედ ხელს იმეგრს)

ამ ხალხთან, განა გუჟოგილობა მოხერხდება? რომ გაგეგონათ რაები მითხრა.

ელისაბედ.

რომ გაგეგონათ რა პირით მლანძღავდბ..

ოსეფა. (ელისაბედს.)

იქნება თქვენ ბრია-ბრუ რამე უთხარი? ახარ, ესეც კაცია, ძალლი ხომ არ არის?..

ელისაბედ.

ქა! ჰხელაძთ?! მევე მამტყუნებს! ჯერ ერთი ესა ჰკითხე, რა უქნია მაგან ჩემს კალს?.

ოსეფა (ბურუნუთსა ჰაწევს და თავის შეილს)

სერგო! რა უყავი შეილო მაგ ქალს?

სერგო.

რა უყავი? არაფერი.

ოსეთა. (ელისაბედს)

არ მეუბნება..

ელისაბედ.

თქვენ მამა ხართ, ათქმევინეთ.

ოსეთა.

არა, მე ძალა და ჩხუბი არ მიყვარს.

სერგო. (ოსეთას)

მამა! მე მოგახსენებთ.. ეს ბებერი იმაზედ გადაირია, რომ
მაგის ქალს ხელზედ ეაკოცე.

ოსეთა. (ელისაბედს)

შერბე, მითომ რაექნათ?.. მაგისათვის რა დავიდარაბასა ჰხდით?
მაშკო და სერგო თვთქმის დანიშნულები არიან.

ელისაბედ.

დაიხ იყენენ და ახლა კი... მშვიდობით! ეხლა შენმა შეი-
ლმა ფერთმარშლობაც რომ მაიღოს, მაინც აღარ მიეცემ
ჩემ ქალს!

ოსეთა.

რატომ, რა მიზეზია? ჩემი შეილი კაი ეაქია! რა უჭირს.

აპოლონ [კარებოდგან გამოიძქირება).

ეს რა ამბავია? ჩემი და ჩაყეტილში დამჯდარა და ღრი-

ალებს, აქ კიდენ ესენი ჩხუბობენ..

ოსეფა.

ელისაბედ! მოდი გული მოიბრუნე მამიშენის ცხონებასა..
ერთი გამიგონე.

ელისაბედ.

ბრძანე, მე ავი არა ეჯაერობ..

ოსეფა.

მე ბოდიში ვითხოვ, ჩემი შეილისთვის.. ყმარწვილია, ჯერ
ქარები აქვს თავში მაგრამ კაი ყმარწვილია.. თქვენი ქალმა
უყვარს, იმასაც სერგო უყვარს-ახარ, რაღბთ შლის ქო-
წილი?.. (სერგოს) სერგო! მოდი, რატომ არას იტყვი?

სერგო.

შაპატივეთ ბატონო ელისაბედ! დავაშავე, ურიგოთ მო-
ვიქეც, მაგრამ; გეფიცებით, ყველას მიზეზი ჩემი სიყვარუ-
ლი იყო!

ელისაბედ. (დამშვიდებული)

კარგია, მიპატიებია, მაგრამ მეორეთ გაფრთხილებით, აღა-
რა გაჰბედოთრა.

ოსეფა. (სერგოს ჩუმათ.)

შენ წადი, მე უნდა მოველაპარაკო ჩემს ელისაბედს. (სე-
რგო გაეა]

ელისაბედ.

სერგო! თქვენ სადღა მიბრძანდები?

ოსეფა. (ელისაბედს)

მე განგებ გავეზაენე, რომ ჩვენ მოვილაპარაკოთ...ახლა, იცით?მე უნდა მეთხოვნა, რაზედმე...

ელისაბედ.

რაზე, პარუნ ოსეფ?

ოსეფა.

ბარემ დაეპოწილოთ რაღა, ჩვენი შვილები.

ელისაბედ.

მე თანხმა ვარ და მზათაცა ვარ, მაგრამ, ხომ იცით მიზეზი...

ოსეფა.

ჩემი შვილის ეალები?..ეიცი, მაგრამ გადაიხდის.

ელისაბედ.

როდის?

ოსეფა.

ქოწილს უკან.

ელისაბედ.

მაგისი რა მოგახსენოთ!. ერთხელა ესთქვი და გავათავე, რომ მე ისე ქოწილს არა ვიქ, მანამ შენს შვილს ეალები ექნება..რა გიჭირს რომ გადუხადო, ხომ არ დგაქცევს ორასი თუმანი..

ოსეფა.

ორასი თუმანი! ადვილათა ბძანებ! შინაღან მობრძანდო აგრე იაფი?

ელისაბედ.

რას დამცინით.

ოსეფა.

აჲ ჩემმა სიყმემა! შენი ქონება რომ მქონდეს, ეინ შე-
რცხენილი დაფიქრდებოდა.

ელისაბედ. (წყენით)

როდის დათვალეთ ქონება, პარუნ ოსეფ?

ოსეფა.

დათვლით კი არ დამითვლია, მაგრამ, ყველამ იცის რომ
იქ ბევრი გაქვს ჩადებული.

ელისაბედ.

ქა! სადა მაქვს ჩადებული?.

ოსეფა. (ბურუნუთს მოსწევს; შემდეგ ღიმილით:)

იქ. ბანკში.

ელისაბედ.

შენ რომ შინ გაქედილი ზანდუკები გიწყევია, სხვაც ისე
თუ გგონია.

ოსეფა. (შეკრთომით)

რაო? ზანდუკებიო? ულაყბია, ვისაც ეგ უთქვამს.. (იქით)
იქნება გოგომ თვალი მოჰკრა? ხვალვე გაეზღებ, თორემ
შემოიყვანს რაზმონიკებს!

ელისაბედ.

ვისთვის გინდა რომ აგროვებ?

ოსეფა.

შენ ეის უნასამ?

ელისაბედ.

მოკედებო, ყველა ოხრათ დაგ'ჩება!

ოსეფა.

შენმა მზემ შენ კი ცას შეაბერდები!

ელისაბედ.

ჩაკედები, და ყუთებს გაგიღებენ!

ოსეფა. (იქით)

ვერა ჰხელაშთ ამ ენა კაჭია კუდიანს! [ელისაბედს] ის ბი-
ლეთები თან მიგაქვს?

ელისაბედ. (იქით)

გაგიწყდა კოქი! (ოსეფას) პარუნ ოსეფ! სულს გაუფთხი-
ლდი, საეშმაკოთ ნუ იხდი საქმეს!

ოსეფა. (იქით)

ემშაყებმა წაგიღონ, კარგი ეინმე შენა ხარ! (ელისაბედს.)
მშვიდობით! წადი ფულს მოუჯექ, არა ეინ მოგპაროს.
[გაეა].

ელისაბედ. [მარტო]

იმან რა იცოდა ჩემი ქონება? რაები მითხრა მაგ ქოთა-
კმა ვერა ჰხელავთ? ცუდს გუნებაზედ დამაყენა. წაკილე
ერთი პიტნის კაპლი მაინც დაელიო. (მეფა ოთახში.)

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 8-ვე.

ს ე რ გ ო , შ ე მ დ გ ო მ ა ჰ ო ლ ო ნ :

სერგო. (თეთრი პალტო აცვია)

წერა სულ აღარ შემძლიან, ხელები მიკანკალებს; წა-
ვალ ბაღში მაინც, ეგების გული გადაეყოლო, ხვალ მაინც
სამსასურში აღარ უნდა წავიდე. (მიდის)

აპოლონ. (გამოდის)

სწორეთ შინ გაძლება აღარ შემძლია: ჩემი და ქეი-
თქეითებს, დედს ჩემი ილანძლება, წავალ სასეირნოთ. [მი-
დის და ისევ მობრუნდება.] არა, რისთვის ვიტანჯები? რატომ
ვარ მოწყენილი? რატომ სხვები კი არ იტანჯებიან და არ
არიან მოწყენილნი?.. აჰ!.. რა მიხეზია?.. [გაბედვით] რა ხან ასეა,
მაშ სხვებსაც მოეაწყენინებ, დეე ისინიც თანაზიარნი გახდ-
ნენ ჩემს მწუხარებასა და მოწყენაში!.. კარგი ზარი მომივი-
და! [ოსეფას სახლის კარს აბრაზუნებს და აჩქარებული მა-
ღალის ხმით] პარუნ, ოსეფ!

ოსეფა. [კარს გააღებს]

რა ამბავია, რა გნებაჟს?

აპოლონ. (განწირულების სიხით და მტირალის ჩაყვით)
პარუნ ოსეფ!.. როგორ არ გებრალეებით! დაგეყცა ოჯახი!
ჩემი საბრალო და... (თვალეშხედ სელს მიიფარებს)
ოსეფა. (შეშიმებული)

რა დგემართა?!

აპოლონ.

შენს მტერს დამათოს იმისთანა!.. უეცრათ მოგეყცდა.

ოსეფა. (მეხ-დაცემულივით)

ება ჩემს ჩაძაღლებას, ეგ რამითხარი!.. ვაი! ვაი, [კარებს
შეიხტრამს უცებ]

აპოლონ. (ღიმვლით)

ეგეც შენ!.. წადი და თავში შემოიყარ!..

ელისაბედ. (კარებს უკან)

ეს კარები ვის გაუღია ქა? [გამოვა] აპოლონ აქ რას აკეთებ.

აპოლონ. (იქვით)

აბა ერთი ახლა ეს შევაფუტუნოთ!.. [დელას ტირილით]
ბატონო დელავ!?. ვერ გაიგე, რო დავიღუპენით!.

ელისაბედ. [შეშინებულვ]

რაო!.. როგორა შეიღო!.

აპოლონ. [ვითომც მწუხარების ტირილით]

არ გებრალეა სანწყალი სერგო?! ერთი საათის წინ მხი-
არულათ იყო და უცეფ!..

ელისაბედ. [შეშინებულვ]

რა, რა დამართა?!

აპოლონ.

ის დაემართა, რაც მამა ჩემსაი..ისე უფერათ გაქრა მშვე-
ნიერი ყმაწვილი კაცი!.

ელისაბედ. [თავში შემოიკრავს]

ეუფ ჩემს ჩაქოლვას!! რატო ექნა?! (შეეარდება) ოთახში.

აპოლონ. [კმაყოფილების ღიმილით დედას:]

წადი და თავი ქვას ურახუნე.. ახლა კა წავალ სსსეირ-
ნოთ. [მიდის; ფარდა დაეშვება.] დასასრული 1-ს მოქმედებისა.

მ ო ქ მ ი დ ე ბ ა 2-რე.

იგივე ქუჩა. სცენა ჩამოზნელებულია. მხოლოდ ერთი
ფარანი ანთია.

ვ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 1-ლი.

ოსეთა [შემოდის ქუჩიდან კიბზედ დაფიქრებული და
დაღონებული.]

მთელი ბაზარი შემოვიარე, ყვების, გული გადამეყოლე-
ბინა. მაგრამ არ იქნა! მახლას, ის ყმაწვილი სულ მაინც
თვალ წინ მიდგა!.. ბფსუს მაშეყო!.. რა ქალი იყო და!.. იმისთანა
ნოჩი, ქორთა.. ყვარდა რაღა!.. ეხლა იმისი დედს ელისაბედი

რა თინთ გუნებაზედ იქნება და!.. დედამ შეილი დამარხოს და იმისთანაჲ. აფსუს! აფსუს! სერგო მაინც მოსულიყო.. ნეტა სად იქნება გუშინდელს ბჭეთ? რომ მოვიდეს ან კი როგორ უთხრა მამიკოს სიკვდილი?.. თითონაც მოკვდება ჩაღა! მარა მოუვა? (კარს აღებს.) მოდი და იცოცხლე! ერთიც ენახათ, წამოგივლის სიკვდილი, ერთს ალიყულსა გვრავს და მშვიდობით! [შევა ოთახში.]

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 2-ზე.

ელისაბედ, მამიკო და მოსამსახურე.

ელისაბედ [დაღონებული და ნაწათ ქალსა.]

წადი შეილო, წადი გენაცვალოს დედა, დედიდანთასა შეილო, ბიჭი წაგყვება... ბაღში დრო გაატარე!.

მამიკო.

დედილო, შინ მირჩენია, თქვენთან ეიქნები.

ელისაბედ (ნაწათ)

ჩაებს იტყვის! ჩემთან როგორ გირჩენია, ბებერთანა.. იქ შენი ტოლები არიან, შეილო!

მამიკო.

დედას მხემ აქ მირჩენია!

ელისაბედ.

რას ამოიჭინე! სულელო! ძალას ხომ არ გატან, მაგრამ.. (იქით) ეს კაი მიფიქრია! (მაშიკოს] იცი რათა გგზავნი შეილო?! აქ სახლები მინდა მოვართევეინო, ამ დღეებში ვინმეებს უნდა დაეპატიჟო ლოტოზედ შეილო!

მაშიკო.

მართლბ დედილოჲ.

ელისაბედ.

დიახ! შენ ტოლებსაც დაგიპატიჟებ... დუდუკი, დხარა, დიმპლიპიტო... (ჰკოცნის) წადი ჩემო თვალის ჩინო!

მაშიკო.

თუ აგრეა, მაშ წაეალ... (იქით) ეს რა ამბაეია რომ დედა ჩემი ასე გაპურადლა და გამინაზდა?... (მიდის და ბიჭი თან მისდევს).

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 3-მე

ელისაბედ. (მარტო]

საცოდავი! ის კი ვერ გაუგია, რისთვისაც გაუგზავნე სხვაგანა.. ასე სჯობია. ერთს კვირას იქ იყოს, მანამდის სერგოს დაჰმარხვენ, მეც მანამ სხვა სახლს ვიქირავებ, გადაეალ და

მაშინ გაუმჟღავნებ მაშიკოს...საწყალი სერგო!..ვინ მოიფიქრებდა...ოხ!(ხელსახოცს მიიფარებს თვალებზედ).

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 4-ხე.

ელისაბედ და ოსეფა.

ოსეფა.

აბა, ისევ ბაზარში წვეალ, ოთახში ვერ გამიძლია...დაეწევი, თვალი რომ დაეხუტე, ის საწყალი მაშიკო მეგლანდება სულა, თითქოს კადეც მელაპარაკება...(ელისაბედს დაინახავს) ეა! აი, საწყალი დედაც აქ გამოსულა...კიბეზედ სატირლათ...ახარ, ოთახში, სულ იმას უყურებს...რა გული იქნება გაუძლოს!..ჯერ მე რომ ასე ვარ, ეს რაღა იქნება?...საბრალო დედა! ჩაქოლვილი!

ელისაბედ.

ფუჰ, ქა! უბედური ოსეფა!..რომ არც კი ტირის!..ახლა მაგის გული გაქეაფებულივით იქნება..იმისთანა შვილის დამკარგავი...

ოსეფა.

ერთი ხმას გაეცემ...ახარ რა უთხრა რომ არ ვიცი,

ელისაბედ.

ვეტყოდი რასმე მაგრამ, ეჰ თუ უფრო შევაწუხო ეგ

ჩაქოლეილი! [ოსეფს) პარუნ ოსეფ! როგორ გიკითხო?

ოსეფა. (მწუხარეთ)

დაკარგეთ, ბატონჯან?!

ელისაბედ. (მწუხარებით)

დიახ, დაკარგეთ!..

ოსეფა.

ახარ, რა ცეცხლი ჩამოვარდა? რა იყო?..

ელისაბედ. (მოსთქვამს)

ნულარა მკითხამ პარუნ ოსეფ!.. ვინ იცის, იქნება მწუხა..
რე.. ბა.. მაც მო.. კლა.. ასე რომ მცოდნოდა ჯვარს გადაეს-
წერდი მაშინათვე.. ეალსაც მევე გაღუ.. ხდი.. დი!

ოსეფა. [კვითქვითით.]

მეც გაღუხდიდი ელისაბედის მზემ.. ახლა რაღა ექნათ და
სად ჯანდაბას გადავცივდეთ!

ელისაბედ. [ნაზად და წყნარათ, მწუხარებით).

ვინ მოიფიქრებდა!.. თქვენ როგორც მამას იმის კეთილი
გინდოდათ..

ოსეფა.

რასაკვირველია! [იკით] მე ამის გულ-დინჯობა მაყვირებს..
რომ აღარც კი ტირის?! (ელისაბედს) ოჰ, რა ძნელია მო-
ხუცებულობის დროს დაობლება, (ოხრავს) მახლას, რა-
ექნათ..

ელისაბედ.

რა გაეწყობა!

ოსეფა.

დიახ, დიახ! [იქით] ჰხედაუ ამ ქოთავს. რა გაეწყობაო.. მგონია კიდევ უხარიან რომ ქალს გადარჩა, მზითევი მინ დამრჩებაო! კრიჟანგობა რა არის! (ელისაბედს) ბატონო ელისაბედ! მე რომ თქვენს ალაგს ეიყო..

ელისაბედ.

რა იქნებოდა, პარუნ ოსეფ?..

ოსეფა.

უკაცრაოთ კი ნუ ექნები და...

ელისაბედ.

რახო?.. მე არ მესმის...

ოსეფა.

ეჰ, დალოცვილო!... მე ვერ მოვითმენდი.. ძალიანი კარგი რამ დაეკარგეთ..

ელისაბედ. (იქით)

საცოდავი!.. შეფურივა?.. მწუხარებას ბევრი არ შეუძლიან?! ან კი როგორღა ცოცხალა?! წავიდე თორემ, გული მიკვდება მაგის ყურებით!.. ჩაქოლავილი!.. [ოსეფას]. მშვიდობით პარუნ ოსეფ!.. გული დაიმშვიდე!.. რაექნათ!.. (შევა თავის ოთახში,)

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 5-თე.

ოსეფა. (მარტო)

რა ექნათო!.. ეს რა თქვა?! ისე რიგათაც ლაპარაკობს, თითქოს ამბობდეს: „რა უყოთ რომ ისპანახი დაძვირებულაო!.. ოჰ, ძუნწობავ, კრიჟანგობავ, რა ძნელი ყოფილხარ!.. [ჩაფიქრდება]. მართალია, დიდი დანაშაული არა აქვს, მაგრამ. ერთ რიგათ თითქოს თითონ არისო მხზები ქილის სკედილისა! ერთი მინდოდა შემეხედა მიცვალებულისათვის და გამოესალმებოდი, მაგრამ, მაგარი ეს არის, რომ კედრისა მეშინიან... სწორე გითხრათ, ძალიან მეშინიან!.. (ჩაფიქრდება)

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 6-სე.

ოსეფ. და მაშეკო (შემოვა, ასე რომ ოსეფა ვერა ჰხედავს და თავიანთ ოთახის კარებთან მივა)

ოსეფა.

ახარ, მე ხომ არა დამიშაფეგბიარა იმისთანა?!.. წაველ ერთი გზმოვეთხოვები! (მობრუნდება და მაშეკოს რომ დაინახავს, რომელიც ზურგ შემოქცეული დგას, შესძახებს:)

ქა: ეს რა ჭირს გადავეკადე?! აქაც მჩვენებაი. (შეეპარ-
დებო თავის სახლში.)

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 7-დე.

მაშიკო და ელისაბედ
ელისაბედ. [კარს ადებს]

ქა: რისთვის მობრუნებულხარ?

მაშიკო.

არც დედიდა იყო შინა, არც ქალები. ერთი კვირით
სხვაგან წასულოან.

ელისაბედ.

მეწყინა, მაგრამ რა გაეწყობა... წადი შეილო დაიძინე
მანც; კარებს კი ნუ ჩააქეტილებ, მე ეხლავე მოვალ, ერთი
ანასთან ავირბენ ცოტახანს. [მაშიკო შინ შევა.]

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 8-ვე.

სერგო [შემოდის ქუჩიდან]

დროც ვერსად გაეატარე! გულის მიხმუჭავს რალაცა, ლა-
მის გავეფუდე-ნეტა ეხლა მაშიკო რასა შერება? იქნება ჩემ-
ზედ მეტად ჰწუხდესი. (მივა მაშიკოს ოთახის კარებთან და

იყურება ჯუჯრუტხნიდგან). სრულებით არა სჩანს რა!

ელისაბედ. (შემოდის. სერგოს ჯერ ვერა ჰხედავს)

არც ანა ყოფილა შინა! [სერგოს რომ დაინახავს] ღმერთო ჩემო, ეს რასა ეხედავ?... (თვალებზედ ხელს ისომს, ამ დროს სერგო მიბრუნდება ელისაბედისკენ) ეუჰ! ის არის! ის არის! მიშველეთ!..

სერგო. [ვერა სცნობს ელისაბედს]

ეინ არის, ეინა ლაპარაკობს?

ელისაბედ. [თვალებზედ ხელს იფარებს]

ეუჰ! ლაპარაკობს! მიშველეთ! მიშვეი!..

სერგო.

ბატონო ელისაბედი! თქვენა ბრძანდებით?..

ელისაბედ.

მეძახის!.. მოვედი! ვეცდები!..

სერგო. [მიუახლოვდება]

რა დაგმართათ?

ელისაბედ. (უნდა გაიქცეს და ვერ მიდის)

მიშველეთ!.. ჯვარო წმინდაო!..

სერგო.

ბატონო, შეუძლოთ ხომ არა ბრძანდებით?

ელისაბედ. [სერგოს

ოხ! ოხ! ნუ მომელამი ქალს მაინც გამოვესალმო! ოხ!

გული მიმდის! გული!..

სერგო.

ჰ საქმე საეჭიშოთ ყოფილა... ბატონო, მომითმინეთ
შინ მგზავანოთ! [უნდა ხელი მოსჭიდოს.]
ელისაბედ. [ლონეს მიიცემს, რამდენსმე ფეხს გადადგამს
და ჩაჯდება]

არა! ახ... რა გინდა ჩემგან?.. რათ ამდგარხარ?.

სერგო.

რა, მტკბარე... მე ჯერ არცაი დაქვამილვარ... ეს არის
შინ მგზავანოთ! [იქით] რაგბსა ჰბოლამს? დაწყევლოს ღმე-
რთმა... ხომ არ გადუქრამს? [ელისაბედს] ბატონო ელისა-
ბედ! მიბრძანეთ, რითხ ხართ უკმაყოფილო?
ელისაბედ. (ვედრებით)

ყველბფრით კმაყოფილი ვარ, ყველბფრით, ოღონდ შენ
ჩამოშეცალე, დაიკარგე!

სერგო.

გუშინ კი მამატივით, მეც დავიჯერე, იმედი მომეცა და
ახლა კი...

ელისაბედ. [ვედრებით]

ახლა რა? ჩემი სიკვდილი გინდა? (დაიხოკებს) შემიბრა-
ლე! შემიბრალე! ყველაფერს შეგისრულებ, ოღონდ კი მა-
შატივე!

სერგო.

როგორ?

ელისაბედ.

თუ გინდა შენს მოკალებს ყველას მე გაეისტუმრებ..

სერგო. [გაწიარულებული]

მართლა?...ოჰ, კეთილო ელისაბედ! ჩემო დედაე! ჩემო
იმედო!.. მაგრამ, აბრძანდით...

ელისაბედ.

თანხმა ხარ?

სერგო.

მაგას რაღა ჩიჩინი უნდა!..

ელისაბედ.

მაშ ხვალვე... მაგრამ, შემდეგ ხომ თავისუფალსა მყოფ?..

სერგო.

შავითი ჩვენ ყველანი ბედნიერნი ვიქმნებით... ანგარიშს
შემდგომ გაგიწმენდთ...

ელისაბედ. [შეშინებული]

ანგარიშს გამიწმენდ? მაშ გამოვესალმო სოფელსა?.. ერთი
ნება მომეც ჩემს ოთახში მაინც შევიდე..

სერგო.

ბატონო, ვინ გიშლისთ?.. მიბრძანდით..

ელისაბედ.

ცოტა ჩამოდექ, თორემ ერთს ნაბიჯსაც ვერ გადავსდ-
გამ...

სერგო.

თქვენი ნებაა, თუმცა კი არ მესმის რათხა გსურთ ჩემი

მოშორება. (უკან დაიწევს).

ელისაბედ. (მიდის თავის ოთახში და მალ-მალ უკან იყურება.)

ეს არის ჩენი ცხოვრება?... ოჰ, რა მოკლე ყოფილა!..
მერე ამ დილას რა კარგათ ეიყავ!.. ოხ! ოხ! (შევა).

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 9-რე

სერგო, შემდეგ ოსეფა და მართა.

სერგო. (პუბლიცისკენ)

ეს ბებერი ან დამიწვალა, ან გაგიჟებულა!.. რაებსა რო-
შამდა! სრულებით ვერა გაიგორა... ან სხვა მიზეზი ხომ არა
არისრა? მაშვო მაინც გამოსულიყო, მეკითხა. [მიუახლოვ-
დება იმათ კარებს].

ოსეფა. (კარს გააღებს თავის ოთახისას და მართას გა-
მოგზავნის).

კარგათ დასჩხრიკე, მანდ ხომ არა სდგას...

მართა. (სანთლით).

ალაჯან, აქ არავინა სჩანს!

ოსეფა. (კარებში.

მაშ, გაშიგონე; მე წავალ; იქნება ხეალამდის არ მოვი-

დე: შენ თვალ-ყური დაიჭირე სახლზედ, ნურავის გაუღებ,
მანამ არ გაიგო ვინ არის.

მართა.

კარგი, აღაჯან!

ოსეფა. (გამოვა)

მაშ კარი დაკეტე და გამაცილე..(იქით) სწორე გითხრათ,
ღვთის წინაშე, შინ ვეღარ დამჯდარეარ..ასე მგონია თუ
ყველა კუთხიდან კედრები გამოცვიფდებოდნენ მეთქი..(მართას)
იმ კარებთან ხომ არაფინა დგას?

მართა. (იყურება.)

ღიას, ვილაცა დგას, თეთრ ჩაცმული..

ოსეფა. [შეშინებული]

თეთრ ჩაცმული? ის არის, ისა!..შ(გებრდება ოთახში.)

მართა.

რა დაემართა, ცოცხალი ადამიანებისა გმინიან?..(მივა
სერგოსთან) ოჰ! ბატონო, თქვენა?..(ოსეფას) აღაჯან! სერ-
გო გახლავსთ, სერგო!..

ოსეფა [კარს გააღებს].

სერგო?! მე კი სული დამელია და!..(გხვევა შვილს)
სერგო! შვილო! ძლივს არ მოხველ! კინაღან არ მოგკედი!
სერგო.

რათა მამავ? რა დაგეპართათ?..

ოსეფა. (შიშნულათ)

მე ენახე...ოხ, ჩემი თვალთ უყურე... მართლა, შენ ხომ

ჯერ არა იცარა... იცი რა?.. არა, ვერ გეტყვი... და სხვამ
სთქვას, სხვამ..

სერგო. (შემკრთალი)

რა? რა იყო?.. ნუ მშინებ მამაე, შენი ჭირიმე!..

ოსეფა. [ეხვევა ნაზათ]

რა იყო?... ხომ იცო შეილო, კაცო გულ მაგრათ უნდა
იყოს, ყოველ ჟამს და მზა უნდა იყოს..

სერგო.

მამაე.. მე გთხოვთ მიბრძანოთ, თორემ, აგერ მუხლები
მეცეცება...

ოსეფა.

მოიცა შეილო, ხეალ შეიტყოფ... ესლა კი მე მინდა
შენი ეალები გადავზადო...

სერგო. (მზიარულებით)

მართლა?!

ოსეფა.

ჰო, შეილო! ახლა კი ეხედვე, რომ ფული სულ ხე-
ლის ჭუჭყი ყოფილა.. გესმის? ხელის ჭუჭყი!.. აჰა ორასი
თუმანი, მიე შენს მოვალეებს და ღმერთმა შნო მოგცეს...
გაგაბედნიეროს.....(ოხრავს) თუ კი შეიძლება..

სერგო (ხელზედ ჰყოცნის).

ოჰ, რა მამა ხარ და!.. მამა კი არა; მამეზის ბატონი ხარ,
ხემწიფე ხარ!

სერგო. *მ/ს*

რათ იხარჯებ მაგ სტყევებს, შეინახე, გამოგადგება.. განა
არ იცი რომ ჩემი ვალია შენთვის ამაგი ექნა?..

სერგო.

ოხ, რა ბედნიერი ვარ!.. წაიდე მაშეოს ვახარო..

ოსედა.

მაშეოს?!.. არა შეილო!.. დეხსენ ხელამდის.. ხვალ
გაიგებ... (ეხვევა სერგოს) შეილო! ვაჟი ხარ, მაგარი უნდა
იყო, ყოჩაღი!

სერგო.

აღაჯან! რაებს მეუბნები? მაშინებ ღმერთმან იცის!..
ამათს თავს რაღაც ამბავია... ელისაბედიც როგორღაც არე-
ული ვნახე...

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 10-თე

ივინიე ად აპოლონ.

აპოლონ.

პარუნ ოსედას ვახლავარ!.. სერგოს გაუმარჯოს!.. ჯერ არ
დაგიძინიათ?..

ოსეფა. (შეილს)

აი, ეგ გეტყვის ყველაფერს.. მაგრამ იყავ, ჰა!..

სერგო.

აპოლონ! შემატყობინე, თქვენსა რა მოხდა?

აპოლონ.

ჩვენსა? არაფერი.

სერგო.

შენი და რაღას იქს?

აპოლონ.

არაფერს. ეხლა, მგონია, სძინავს..

ოსეფა. (იქით)

ღიას სძინავს!.. ჩემი მტერი დაიძინოს ისე!.. [აპოლონს
საიდუმლოებით] ასარ, რაღას უმაღამ? უთხარ რაღას!.. ბო-
ლოს ზომ უნდა გაიგოს.

აპოლონ. (განცვიფრებით)

რაო? რა უნდა გბგოვონოს.

სერგო.

არა, მე ვხედავ რომ თქვენ რაღასაც მიმაღაეთ.. მითხა-
რით ღვთის გულისათვის..

აპოლონ.

გაგიჟდა! რა გითხრას რომ მე თვთონ არა ვიცირა..

ოსეფა. [აპოლონ იქით მიჰყავს)

გამიგონე. შენ დას რაღაცა ამძიმებს. ადგება ხოლმე.
და დადის!

აპოლონ.

რა უყვით რომ დაღის!

ოსეფა. [შიშნეულათ]

მე თვთონ დავინახე...აი, აქ იდგა...

აპოლონ.

მერე?

ოსეფა.

ისე უყუთრებდი, როგორც ეჭლა შენ გიყუთრებ!..გესმის?!

აპოლონ.

მერმე რაეჭნათ? ჩემი და, განა მზეთ უნახავია რომ კაც-
მა ვერ გაუშტეროს თებლები იმის ბრწყინვალე და მოტ-
ყინარე სხივსაი..(იქით) რა რიგათა ესთქვი და!..

ოსეფა. (წყნარათ შეილსა)

საცოდავი! ესეც მგონია დის სიყვარულს შეუშლია!..

სერგო.

როგორ თუ დის სიყვარულს!..მამავ, ერთი გამაგებინეთ,
რა ამბავია, რა მოხდა?..მაშიკო ზომ ავით არ არის?!

ოსეფა და აპოლონ.

არა.

ოსეფა.

ახარ, რაღა დავმალეთ..შეილო! გამაგრდი!.. მოემზადე!..
მაშიკო...

სერგო. (აჩქარებით)

რა?..მაშიკო.

(ამ დროს მაშეო კარს გააღებს)

აპოლონ.

აი, მაშეო!

ოსეფა. (რომ დაინახავს მაშეოს)

ტერ ასტუაც!.. მიმეღელეთ!.. სხვებთანაც შემოვიდა!.. (შევა-
რდებან თავის ოთახში და კარს მოკეტს მართაც თან შეჰ-
ყვება)

გ ა მ ო ც ბ ა დ ე ბ ა 11-ტე.

სერგო, აპოლონ და მაშეო.

სერგო. [მხმას სიამოვნებით]

ძლივს არ მოხვედით!.. გული დამიმშვიდეთ.. რომ კარგათა
ხართ?..

მაშეო.

რა მიჭირს, მაგრამ ძალიან კი მომეწყინა!

სერგო.

ოჰ! რაზან კარგათა ხართ, მე ბედნიერი ვარ! ახლა ჩვენს
მწუხარებასაც ბოლო მიეცა.. მე გავსწორდი ჩემს მოვალეე-
ბთანა...

მაშიყო. [მხიარულათ]

მართლა?...როგორა?

სერგო.

როგორბ და, მამამ გადამიხადა ეალები; მაგრამ ძალიან
კი შემაფიქრა...აპოლონმაც.

აპოლონ.

მე? როგორა?

სერგო.

რას მეუბნებოდი შენს დაზედ?

აპოლონ.

არბუერს; მე ვსთქევი რომ სძინავს მეთქი...და ეს მგონია
ყოველდღიური საჭიროება იყოს.

სერგო. შამ მამას უნდა ეკითხოთ. (კარს
ურახუნებს). ალაჯანი მამავ! აქ გამობრძანდით ცოტა ხანს!
ოსეფ. (კარს უყბნ]

არ შემიძლიან! არ შემიძლიან!

სერგო.

რას შიბრძანებთ, რისა გეშინიანთ? მარტო ჩვენა ვართ
აქა....

ოსეფ. (კარს აღებს)

მარტო?...როგორ მარტო?..

სერგო.

მე, აპოლონ და მაშიყო.

ოსეფა.

მაშიკოცაჲ, კიდეცა ჰხედამჲ (კარს ჰყეტამს)
აპოლონ და სერგო.

რა დაჰმართვია.. რა არის ესაჲ!

აპოლონ.

გაგიჟდა?.. რისა ემინიან?!

სერგო.

აღაჯან! რა დაგემართათ?

მაშიკო. (ოსეფას შესძახის)

ბატონო! გამობრძანდით ჩვენთან! მამაე! ნება მომეცით
მამა ბიწოდოთ.. მობრძანდით, მოეხვიეთ თქვენს ქალსა!

ოსეფა. (კარს აღებს)

ეს რა ხათაბალააჲ!.. ამ დაეიდარაბისა სულ ევრა გამიგია-
რა... ჰპრაშადა ვიყო, თუ შესმოდეს რამე... გვაგიჟრი თუ
რა ხათა მოსულა ჩემს თავსა!.. მაშიკო უენ ხარ..!

მაშიკო.

შე გახლავარ, მამაჯან! მობრძანდით, მომეხვიეთ. [ოსე-
ფასკენ მიდის]

ოსეფა.

მოიცა მამა გიცხონდა! ახლო ნუ მოხვალ, შორიდან
ვილახარაკოთ.. შენ მართლბ ნამდვილი მაშიკო ხარ?.. ცოცხა-
ლი ხარ?.. ცოცხალი ხარ?

მაშიკო და სერგო.

ეს რა ამბავიან? მე არა შესმისრა!

აპოლონ.

ჰოოო! ახლა კი მოშაგონდა! აკი დამაფიწყდა!.. გული დამ-
იმშვიდეთ, პარუნ ოსეფ!.. ეს მე ვიხუმრე.. ჩემს დას ფიქრა-
თაც არ მოსვლია სოკედილი!.. მე მოვიგონე, მე ვიხუმრე..
ოსეფა. (გაჯავრებული)

კიდნ შენა? ყურუმსადო!! ლუპუსტაცობზაედ ხელი არ
აიღე?.. კინაღამ ხომ გაეგოქდი!..

აპოლონ,

მართლა? მამ ძალიან შეშინებულ ხართ, მაგისტანა გუ-
ლადი კაცი..

ოსეფა. [აპოლონს]

ახარ, მინდლემი ტუტუცობა იქნება?.. გეტყობა ყმაწვი-
ლობაში კეუა არ უსწავლებიათ? [ანიშნებს] ხელით როზ-
გის დაკვრას]

აპოლონ. [ოსეფას]

ჩურჩუტა! ჩურჩუტა!..

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 12-ტე.

იგინივე და ელისაბედ.

ელისაბედ [სერგოს ვერა ჰხედავს; შემკრთალის სუხით,

სუსტის ხმაგ მოუბარი!

მაშიკო, მაშიკო! თბილი რათ დამხნებეჯ! აპოლონ, შენც მოსულხარ? აჲ მოდით მკილებო... ჩემთან იყავით ამ უკანასკნელ დროს...

მაშიკო. (მიეცა დედასთან)

როგორ თუ უკანასკნელს დროს? ეს რას ნიშნავს? დედილო, თქვენ როგორღაც უქეიფოთა ბრძანდებით..

ელისაბედ. (ეხვევა აპოლონს)

შვილო აპოლონ! გეპარებოდეს მაშიკო, გაუფრთხილდი შვილო! ჩემს სიყვდილს მემდეგ შენს მეტი აღარაინა ჰყავს. ყველანი

ეს რა გვეხმის?! რას ნიშნავს ესა?!..

აპოლონ

ეჲ, მშობელო, ეგ რა წარმოსთქვით? ნუ მიგეატოვებთ ობლებსა. ამ დაუდგრომელს წუთის სოფელში... (იქით) როგორა ესთქვი!..

ელისაბედ.

პარუნ ოსეფ! თქვენს შვილს რამდენი ეალი აქვს ოსეფა.

რათ კითხულობთ?

ელისაბედ.

მე შინდა გადავიხადო.

ოსეფა.

თქვენა? შითომ რათაო?!

ელისაბედ.

ეგ შე ეიცო რათაც.. ერთის სიტყვით; თქვენ უარი არ
უნდა სთქუათ.. ეს არის ჩემი სურვილი.. (ამოიოხრებს)
ჩემი უკანასკნელი წება!

მამიკო [ტირილით]

დედილო! რაგბსა ბრძანებთ? რაგემიზებებთ?

აპოლონ.

იქნება საწყენი მიირთვით რაშე?

სერგო.

ჩქარა, ექიმთან გავგზანოთ კაცი!

ელისაბედ. (რომ დაინახაჲს სერგოს)

მიშველეთ! ეს ბჭ ყოფილაჲ.

ოსეფა.

არ იქა, სერგო, აქმოზაში!..

ელისაბედ. (იჭენეულათ)

რა თქვა? სერგოვო? [ოსეფას] განა ელაპარაკებით კი-
დეც?! ცოცხალია თქვენი შვილი? ეს რა მესმის?! რას
ვხედამუ. ეინა თქვა მოცედეო? ჰაჲ....ჰოოო! ახლა გამახს-
ნდა! (აპოლონს შეუტყვის) შენა, განა?! ეს კილენ შენი
არანზადობაჲ? შე არ გასაზრდელი, შენა. გაგიწყდეს სახელი
კარგი რამ შენ გამოდიხარ!.. შე ლუბუსტაცო, წამხდარო,
თავლაფიანო!!.

აპოლონ.

ეჰა, ძვირფასო მშობელო მე ეს საქმე მოვიქმედე იმის-

თვს რომ გამეცინებინეთ. მე ვიხუმრე.

ელისაბედ.

რა... ვიხუმრე?! შენა (იწევს აპოლონისკენ გაწიწმამტებული) შენ ბესააბო, ბესააბო, ბესააბო! [მუშტო მიაქვს ცხვირწინ] სასიკდინევე, სასიკდინევე სასიკედანევე! [დამშვილდება] არა... მე ვხედავ რომ შენ ისე სულელვით დაბერდები და უგუნურვით ჩაკვდები, უგუნურვით!..

აპოლონ. [ლიმილით]

მითომ?!.

სერგო.

ბატონო ელისაბედ! ახლა ხომ მაინც შეგიძლია ესტეჟა თქვენი შეიღობა.

ელისაბედ.

როგორა, შეიღო?

მაშიკო.

დიახ, დედილო! ბატონმა ოსეჟამ გადაუხადა სერგოს ვალები....ახლა მაინც დაგვლოცეთ!

ელისაბედ.

ეჟე, ქა! მართლა?!. მაშ მე გადასახდელი აღარა მქონიარა?

ოსეჟა. (იქით)

თუ თუტუცი არ ვიყავ, რას ვეჩქარებოდი შეიღობის ვალების მიცემას. ახარ ვისი შერმეტევი ვიყავ?

სერგო და მაშეო.

ძლივს ბედმა არ გაგვიცინა! დედლო! (ეხვევიან ელისაბედს) მამაჯან! [ეხვევიან ოსეთა!]

ოსეთა. (სერგოს და მაშეოს)

ღმერთის ლოცვა იყო! თქვენ თაყბად!.. (იქით, აპოლონზედ ამბობს) ამისი ლუპუსტაცობით მე ორასი თუმანი დავყარე!.. მაგრამ (სერგოსა და მაშეოზედ ხელს იშვერს) ესენი რომ დაიხოცებიან, ამათი ზნეთი ხომ ისევ მე დამრჩება!.. (ხმა მალა, მითომ მხიარულათ სერგოს და მაშეოს) წადით ახლა ქოფი გასწეოთ!.. ეხშის დროც არის, ეჭმოდ და ერთი კბი ძალიც გამოვაცხოთ!

ელისაბედ.

მართლა, ახლა კი დრო არის! მამეო! წავიდეთ შეილო! (მიდის და აპოლონს თითით ემუქრება) ერთი კადენ გ.ბედ რამე!.. გიჩვენებ შენს თამაშს! (გაეა.)

ოსეთა. (მიდის და აპოლონს)

შენი ტუტუცობა მე ორას თუმანთ დამიჯდა!.. ყურუშალო!.. (მუშტს უჩვენებს; გაეა.)

აპოლონ.

მართლა? აგრე ძვირათ... [იციინს.]

სერგო [აპოლონს ხელს გამოართმევს]

მადლობელივარ ჩემო აპოლონ! შენმა ხუმრობამ მე ბედსა მწია!

აპოლონ.

მითომ. მაშ, კაი ხუმრობა მომსვლია?

მაშიკო.

კარგი, მაგრამ ყველას არ მოსწონებიან.

ელისაბედ. [ოთახიდან]

მაშიკო! შეიღო! წამოდი რაღა!

მაშიკო.

ეხლა? დედილო, ეხლა?

სერგო.

მშვიდობით ხელამდისი [ხელზედ ჰკოცნის; მაშიკო
მადის] ღმერთმა გიშველოს აპოლონ! კაი საქმე მოახ-
დნე [გაეხ.]

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა 13-ტე.

აპოლონ. (მარტო)

აი რას ნიშნავს სხებ და სხვა ნაირი განათლება! ზოგნი
გემაღრიელებიან, ზოგნი გემღურებიან; ნამეტნაეთ პა რუნ
ოსეუ... უღება რომ ჰქანდეს კარგი კი მამამკერედა!.. გა-
დურეუდა! რა ძეგლია გაუზდელობა!.. [პუბლიკისკენ]

ვისაც სწავლა არა აქვს და ბრიყვად გაზრდილია,

ვერც ხუმრობას აიტანს, არის გასაკალია;
რაც შეგეძლო ემზოდო, ვაი თუ მოგწყინათ;
მე იმისთვის ვხუმრობდა, ეგ ბას გ გიცინათ!..
თუ ვერ გასიამოვნეთ, დედა მომკლავს ცემითა,
თავიც რომ მოგაბეზრე აშნიჩი ქვევითა...
ოხეფაც არ დამინდობს, სილას გამ წაშს ყბაში,
ისევ ისა სჯობია თქვენვედამიკრათ ტაში..
ტიში, ტაში ბლომათა, თორემ მიედივარ კარში!..
(ფარდა დაეშვება.)

თ. რაფიელ ერის-თავი.

დასასრული.

20 დეკემბერს 1867.

წიგნი, მიწერილი ნიკო-
ლაოზ ბატონის-შვილისაგან,
რუსეთისმეფისალექსიმიზე-
ილიჩთან 1675 წელსა.

ქ. დიდო ბატონო, კელმწიფე და დიდო კნიაზო ალექსი
მიხაილიშვილო, სრულდიდისა და ცოტასი რუსეთისა მტკი-
ცეა მპყრობელო. საბერძნეთისა და საქართველოსა და
ჩვენ მეფეთა, კელმწიფეთა ხელმწიფეთა ხელქვეითი და ერთი
ბეწვი თქვენი, გზდილი ნიკოლა, თავს გუკრავ, და ვიხეწე-
ბი მრავალ დიდებულსა ღმერთსა რომ თქვენს უსწოროს
ტახტზედ მრავალ ქამკარგად იყენეთ, თანა მეცხერდისა თქვე-
ნისა, და დედოფლისა ჩვენისა აღუსტო ნათლითა და კირი-
ლოსანითა, და ძასა თქვენისა ბატონისა ჩვენისა და დიდი-
სა კნიაზისა თვედორე ალექსიევიჩისათა, და ძასა თქვენისა ბა-
ტონისა ჩვენისა და დიდსა კნიაზისა იოანე ალექსიევიჩისა-
თა, და ძასა თქვენისა ბატონისა ჩვენისა და დიდისა კნია-
ზისა პეტრე ალექსიევიჩისათა.

მერმე. აქენ დიდს კელმწიფეს წგნი მოგეწერათ, მო-
გგონებოდით და ჩენი ამბავი გეკითხათ. ღმერთმან დიდის
კელმწიფის დღე ერთი ათასად ქნას! ბედნიერის ყვენის ქა-

ლბეში გასულს სეკტემბერს ყაზანს კარგად დამისვდა: თქვენ
დიდს კელმწიფეს ერთა ეს გეძნებიათ. „მახარასა და გო-
რგი თალმაჯის ხელით წიგნი მოგეწერათ და შემოგესვე-
წოდით: მართალია, მახარა მგზედ გამოგვზენე და კიდევ
შემოგვხვეწე თქვენ დიდს ხელმწიფე ამტარხნიდამე, და და-
სტური და შენდობა გთხოვე, ასე, რომ უსაცლოოდ ყეენ-
თან წეალ მიტე, თუ ხმალი და რაყაში მომიგა მეთქი,
რომ ეგების ჩემის მისვლით საქართველო არ წახდინოს
მეთქი: გზაგან ბევრი ომი გარდმხდა, და თქვენის ბედ-
ნიერებით მოკრჩი. საქართველოში რომ მოველ, ხმალი და
საფეცარი მომივიდო, და ასრე ეწერა იმ საფეცარში. „მ
ხმალსა და საფეცარს მოენდეთ: „მ. მახარას რომ მოველ, ის
საფეცარი გარდაე წერანე და მანდ გაახელით ჩვენის სტო-
ლნიკის კნიაზ სეიმონისა და სტრაფჩო მაქსიმის ხელით და
სხვა ჩემი ამბავიც წაგნად მოგწერე: შაჰახიდიმე დავიწვე
სიარული და ყაზმანს მოველ დამდეგს შაის. ყეენი მწვედ
წყალობით დამხედა და მწყალობელიც არის: თქვენის ბედ-
ნიერობით კიდევ ახლა გერასიმ დოღვა მოვიდა თქენი
ჩუბარი და კაი წიგნი მოგეწერათ ყეენთან. ღერეთმან თქენი
დღე ერთი ათასად ქნას, რომ ჩეენი თქვენგან გზდილობა
კიდევ მოგგონებოდათ, მას უკან კიდევ თქენი გლჩიც მო-
ვიდა კნიაზ ბორის ეფთქაიჩი და ნაკშიაც ჩეენი, ქართუ-
ლად დაგწერათ, ღერეთმან დიდი ხელმწიფე კარგად და ბედ-
ერად ამყოფოას! ერთი ეს მოგეწერათ. „ჩეენი ხელკევეთი

იყო, ასრე ღმერთი როგორ მომიძულებს რომ შე თქვე-
ნი ნაზარდულობა და თქვენი წყალობა დაიეწყუ მამლი
ცოცხლი ეიყო.

ეასილის საქმეზედ თავი რომ დაგვარ, წუგნში ისიც
მოგეწერათ, რომ. ჟებან შინაილიშვილისათჳს მიბრძნებიაო
იმას მოუთხაესო. ეგ რატომ ჰგონია ღიღს კელმწიფესა
რომ აშტარხნელმა კაცმა იქაური ეაივად გასცეს და ან
მართალი რომ მოგახსენოსთ? ჩემი საქმე ერთი გეძნათ.
„როდისაც შენი კაცი მოვიდოდეს აშტარხნიდამ, აღრე გა-
მოისტუმრებდეს.“ თქვენის თავის მზემა, ორჯელ სამჯერაც
კაცი გამომიგზავნია, რომ აღრე არ გამოუსტუმრებიათ:
თქვენ ღიღმა კელმწიფემ წყალობა მიყავით და ორი მწე-
რალი მიბძანეთ, და ბრც თქვენი ბრძანება გაათავეს და აღარც
მწერლები მომცეს: ახლა ქართულს წიგნს მოგწერთ, რომ
რუსთლის მწერალი ახლა მყასეს, და როდისაც ქართულს
წიგნს მოგწერთ, მასაც მართლა არ დაგანახებენ. ახლა ამას
გეხვეწები თქვენ ღიღს კელმწიფესა, რომ ჩვენი კაციც აღრე
გიახლებოდესთ და ჩვენის წიგნისა და ჩვენს ამბავსაც მარ-
თლა გაგახსენებდენ: აშტარხნიდამ მახარას ხელით მაგაზედ
მოგწერით წიგნი და შენდობა გიხრავეთ და დასტური, რომ
ყვენი კახეთზედ მოვაო და ჩემას მისელით ეგების კახეთი
არ წაახდინოს მეთქი. იმისთჳს წამოველ, თორემ თქვენად
უდასტუროდ როგორ წამოვიდოდი.

ლოტოს მოქმედება ოჯახზე.

საკვირლად დაუწესებია ღმერთს ბუნება! საკვირლად განუსაზღვრავს დაუსაზღვროს თავისი ქმნილება! რა არ მისცა კაცს ღმერთმა ამ ყოველად ღიღებულს ბუნებაში! ყოველიფერი, ამ ბუნებაში მყოფი, სულიერი თუ უსულო დაუმორჩილა კაცის მაღალ-ნიჭიერებას. სადამდისინ არ მისწდება იმისი გონება! რა არ გამოუვა ხელოვან კაცს, მაგრამ ეს არის ძნელი, რომ ჩვენ სუსტნი არსებანი ისე ვერა ესარგებლობთ ამ ჩინებულის და ყოვლის ღირსებით შემოკრიბულ ბუნებით! რომ არ ვიცით, როგორ გამოეჩნეთ იმის ნაყოფიერებას და იქნება კიდევ ვიცოდეთ, მაგრამ ზნეობას ისე დაუხშავს ჩვენთვის გზა, რომ თვალ წინ გეძიქეს იმისგანით გამონაცე-მი მასაზრდოებელი ნივთიერება და ჩვენ კი სულებს ეღუ-ებთ შიმშილით. — ისე დაუხშავს გონებას საცოდავის მომაკვდნე-ვისა, რომ წინ გვედევას რამ, გაუსჯელათ გვწადს აიღვას ფეხები და თითონ პირში ჩაგვიყარდეს! — როგორ გგონია მკითხველო, ეს არა ჰგავს უმადურებას? — იმას ხომ აღარა ეჯერვართ, რომ ჩვენის გასჯით მოვიხმაროთ ყოველი კე-თილად დაწესებული შემოქმედისაგან, ისიცა გესურს, რომ გა-

ფსევდოთ, რა გატაცებული ვართ წამხდარ ზნეობაში, თა-
ვის-თაკათ, ყოველი ჩენი ნაკლულეფანება, მოვიღოდეს სი-
სრულეში.-როგორც ზემოთაც ვთქვი, საკვირელად დაუ-
წესებია ღმერთს ბუნება, — ამ დაწესებასთან, ისიც დაადგი-
ნა კანონად, რომ შრომით უნდა მოიპოვებოდეს ყოველი
ფერი; კაცი უნდა ეწეოდეს შრომას, — და ამ შრომით საზ-
რდოობდეს, მაგრამ ერთი კაცი კი ვერ აუეა და არცა
აქვს ის ძალა მინიჭებული, რომ მარტო თავისის შრომით
გამოკვებოს რამდენიმე სული; ყველას აწევს ეალი მუ-
შაკობისა. ერთს სახლობას, ანუ ოჯახობას, რომელი
შეადგენს? ერთი კაცი? არასოდეს! ერთს ოჯახობას,
ანუ სახლობას შეადგენენ: კაცი, იმისი ცოლი, შვილები, დე-
ბი, ძმები და სხვანი, — ამგვარ ოჯახში, ერთი მამა კაცი,
თუნდა დედა კაცი რომ მუშაობდეს, შრომას ეწეოდეს,
მხრეობდეს საზღოსათვის, შემოჰქონდეს სახლში და სხვანი
კი შინ შყოფნი სარგებლობდენ, განა ამას ღმერთი მოიწო-
ნებს? — ღმერთმა რისთვის დაადგინა ქვეყნად ქალი? იმისათვის
კი არ დაადგინა, რომ პრანჭობდეს, ირთებოდეს, სხვა და
სხვა კრასკებით პირს ითხოუადეს და ამაში ატარებდეს
ღროს. — იმისათვის დაადგინა, რომ მრავალი, მუშაკობაში
ეწეოდეს თავის მეუღლეს ქმარს! რა მნიშვნელობა აქვს
მუშაობას? ის მნიშვნელობა არა აქვს, რომ ჩემთან, ჩემი
ცოლი, უღელს ეწეოდეს მრომში? მე მგონია დიდი და
დიდად მომხატვნივინებელ ცოდვად უნდა ჩათვლებოდეს იმ

ცოლს, რომელიცა დასწოლია მარტო ქმრის შრომას, და მარტო იმისის შრომით სარგებლობს; აქ ცხადათა სიანს ცოლი ქმარს ყუათს უღევს, სისხლსა სწოვს იმის აგებულებითგან; ჰაშ რა იქნება. თუ ეს ასე არ არის, რომ საწყალს კაცს იმდენი ყუათი აღარ მოზღდევს, მარტო თავისის მუშაობით, რამდენიმე გამოკვებოს. ყველამ იცის, კაცს ყუათი ელევა მეტის მუშაობით, ვეღარ შესძლებს და მოკვდება უდროოთ. აქ ცხადათ თავისი უღლის-გაშწევი არ იქნება მოვალე, რომ უდროოთა ჰკლავს თავის მოამხანაგეს?—ის კაცი, თუ ქალი, რომელიცა უქმია ჯერ თავის სახლისათვის და მერე ქვეყნისათვის, არ ურევია ცოცხლებში, ის უფრო მიემზგავსება იმათ, რომელნიცა მტნჯად განისვენებენ ამ ერცელს ბუნებაში! — მაგრამ ეს რა ფოქიერ ის მუნჯათ განმსვენებელნიც კი სჯობიან იმ ცოცხალ არსებათა; ისინი მაინც არაფრის არას აკლებენ; ისინი არაფრის შრომით მაინც ხომ არა სარგებლობენ. — აი, დალოცვილი ქვეყნები ზოგი ერთი, სადაცა ქმარიც, ცოლიც, შვილებიც, დედაც, ერთის სიტყვით მრთელი ოჯახობა შრომაში მოდის და წერილ ფეხობაც კი ოჯახში ცდილობენ სახლში საზრდოს შეტანისათვის! მე რათ ვიქნები მძღარი ჩემო მკითხველო, რომ მრთელი სახლი კისერსზედ მაწევს; მე რათ ვიქნები მძღარი, როდესაც რომ დღეში ერთი პური შემომაქვს, და

ამ ერთ პურს შვიდნი და რენი ეიყოფთ სახლში, სადაც დიდით პატარამდინ მოკეცილები სხედან; მე რათ ვიქნები ბედნიერი, როდესაც რომ თვეში ერთხელ თუ ენახავ ჩემთან უფლის გამწევს სახლში, თორემ ეინ იცის სად არის და სად არა!—სხვა ზნეობაზე ნურას ვიტყვი, და ისე გატაცებულია ლოტოს თამაშობაში, რომ როგორც სტუმარი ისე შემოვარდება სახლში, თვეში თუ სამჯერ შემოვა ისიც გათენებისას, რა არის მეორე დღეს შუადღემდინ ეძინოს და ცოტა მოისვენოს, რომ ხელახლა შეუდგეს ეისივე სახლში. კიდევ ლოტოთი შექცევს,—თუკა პირში ერთი კბალი აღარა; აქვს სიბერბსაგან; მოდი და აქ, ნუ დაწვება ერთს კაცს მრთელი სახლის ზრუნვა და იქ მყოფო გამოკევა. —რა მართო მე, ამისი დამწერი, ყველანი ასე ეართ მამაკაცი ყველანი ერთს ტაფაში ვიწვით; ყველანი ასე ბედნიერებაში მყოფნი, ასეთის ტანჯვითა ესარგებლობთ, ზენაარსისგან ჩვენთვის დაწესებულის ბუნებით.—ლოტოზე ჩამოვარდა სიტყვა და უნდა ეთქვათ რამე კიდევ, ამ ჩენი ოჯახის დამალუბავი თამაშობაზე, რომელშიაც ასე გატაცებულები არიან, ჩენი ცოლები, დები, დედები, შვილები, და რომლის მიზნით ვითმენთ ამდენს შიმშილს, წყურვილს, სიშიმვლეს, ამდენს სახლის ნაკლულევენებას.

უხაროდეთ ბუღის გამსყიდველებს, რომ ხედვენ პატრონები არ
არიან მაყურებელნი, ერთის მაგიერ ორ ორს მიაჩნებენ ხე-
ლში, და კედელზედაც ერთი აბაზის მაგიერ, ორ აბაზს
მააწერენ ეს მეორე მხრივ აშენდა ოჯახი! — ეისის წყალობით?
ქალისა! — ეს რა არის, არაფერი! ყველას გაუძღვებს
საცოდავი კაცი! ყმაწვილების გაზრდა? როგორ გგონია მკი-
ხელო, ამ გვარ დედების ხელში, ყმაწვილმა როგორი
ვხედვრია იმათთან ლაპარაკი: მაშ რაეჭნათო, მამ დრო რო-
გორ გაეატარათო! დიდი ღამეები გვიძევს ზამთრივ წი-
ნაო, მრთელი ღამე ქვეშაგებში ტრიალს, ასე დროს გა-
ტარება არ გვირჩევენიაო! თუ ზაფხული არის, ამით მართლუ-
ლობენ თავსა; მაშ სად წაგიდეთო, გარეთ გაგიდეთ,
მტერი თვალები გვეცემაო, ისევ ასე ეარჩიეთო! აჭერუმ
ქალების გონიერებაე! აჭერუმ, ასე სიმართლიანათ სჯაე!
დროს გატარება გაზღაფთ, ლოტოს თამაშობა! ამას უწოდებენ
დროს გატარებას! — აბა ახლა გავსინჯოთ, ამ დროს გატა-
რებითგან რა გამოდის და რა შეუდგება: გათენდა დილა,
ჯერ ეს უნდა მოგახსენოთ ბატონო მკითხველო, ლოტოს
მიმდევართათვს დილა ირის, შეათე საათი, [ეს კიდეც ადრე
მოგახსენეთ) ანუ მეთერთმეტე საათი, — წამოყო თუ არა თა-
ვი, ჩვენმა სახლის ქალმა, მოსდის ბარათი, ქნინა.... გთხოვთ
ამაღამ ლოტოზე მობრძანდეთო, სხვანიც ბევრნი არიანო,

მართლად და რა არის? განა შეიძლება ასე გატაცებული იყოს აღმნიანი ამ გეარ უსარგებლოდ დროს დაკარგვაში, როგორაც არის ლოტოს თამაშობა? განა შეიძლება ასე სახლითგან ხელის აღება, როგორც ჩვენ სახლობას აუღია ხელი? აი რას ანობენ ქალები, როდესაც შეგფული არ არის ჯიბეში! რა ქნას, ქმარი აღარ აძლევს, მობეზრდა ფულის გაღებას, — აქ სადამოძინ იმ ფიქრში არის, თუ საიდან მოიპოვოს ფული! ბოლოს, ბევრის ფიქრის შემდგომს, უნდა ან ბეჭედი წაიძროს თითიდან, ან კოვზები გაგზავნოს დასაგირაებლათ, აიღოს თუშანი ცეცხლის ფასათ, და წაბძანდეს ჩვენი სახლის „ტანდიკინი“ ბარაქა შენს კალოს! ამ გზით, დიდი უღელი გაუწია თავის ქმარს და შესძინა ცოტა ეალი, ბევრი კი არა! — ამ ერთის მხრივ ააშენა ოჯახი! ახლა ენახათ, შეორეს მხრივ როგორ ააშენებს და ან მესამეს მხრივ! როდესაც დილით განისვენებს ლოტოს მოყვარე დარბაისელი, ყმაწვილები იმისი (თუ ერთი ნახევარ დღეინიც ეგულება, მაშინ მშვიდობით ცოლო და შეილო! გამოეთხოვე ამ ქვეყნის ბედნიერებას, და ორივე ხელი თავში შემოიკარ.) ადგებიან და რა დაინახავენ, მებატრონენი ტუბილს ოცნებაში განისვენებენ, ისე პერანგებით ეცემიან ქუჩას, და თუ მებუღკესაც მოახელეს, თითოას მოსტაცებენ და ჭამით იგანგლებიან მტყერში. [აქ

წავლა უნდა მიიღოს? თუ შენ არ იცი, მამ მე გეტყვი
მკითხველო: ყმაწვილი იზრდება ამ მღვდმარეობაში,—შე
ურად! ეის შეეპუოს, რომ პატრონი არა ჰყავს, პატრონსა
სძინავს! პატრონი სხვა საქმეში არის გართობილი; იმას
ამისათვის არა სცალიან, ლოტო არის იმისი ქმარიც, მეი-
ლიც, მამაც!—დიხ! იზრდება ისე, რომ რაცა სურს, იმ
გეარად ექცევა, ქუჩის ლექსებსა სწავლობს შემე-
იერს, ისე მმეწიერს, რომ მეიდანშიაც ძლიერ გაიგონებ
მკითხველო,—მოუყვარო სწავლისა, რომ როგორმე მოიშ-
ოროს თავითგან, მისცეს კი სადმე სასწავლებელში, რომ
ეგება უფრო თავისუფლება ჰქონდეს, თორემ როგორიც
სწავლა უნდა იყოს, ამისათვის ერთია: იმას არ დაეძებს!..
აქედან გამოვიდა რა? ის რომ შეილების გაუბედურებასაც კი
სჩადის, ერთის რალაც წყეულის ლოტოსათვის! —ახლა გა-
თავდა თუტუნა გგონიათ საქმე ამითი, არა: უკაცრავათ წაეი-
და სახლის ბურჯი სტუმრათ ლოტოზედ. —დარჩა სახ-
ლი ცარიელი, გოგო-ბიჭების სანაბართ, —აბა ახლა, დრო
ამითი არის, —ეზიდებიან ჯიბით თუკი არის რამე გარეთ, —
რაქნას აქ ქმარმა? ის საცოდავი, თუ სამსახურის კაცია
სამსათამდინ შინ ეინა ნახავს, და თუ ეაჭარი, მოქალაქე,
მრთელი! დღე აღამებს ეაჭრობაში. —მამასადამე, შეილე-
ბის თავდაპირველ გზრდაა როდესაც ისინი არ არიან, სწავ-
ლისასავე, ეს ვალი აწევს დედებს. —მაგრამ, სად არის დედა!
დედა განისვენებს, სანთლებით და ლამპებით გაჩაღებულს

ზალაში, გრძელ სტოლზედ, ოცდა სამ პირად დადგმულთან, ოც, ოცდაათ, ორმოც, იქნება მეტ ქალებში, ჰქინდრამს თავსა, ისე ეძინება, ამთქნარებს, ერთა რშინზედ პირს აღებს, მარამ მაინც კიდევ არ ეშვება და ძალდატანებით იძახის: დეცეტ პეტ! ტრიცეთ! სოროკ პეტ!... გული სისხლით შეესება ჭეშმარიტათ, ამის თქმზედ! — ოჰ, ჩვენო ქვეყნაჲ აჲი გიყვარდა შენი შეილებო და ზრუნავდა ყოველთჳს იმათის კეთილ — მღვდმარეობასათჳს! — ოჰ, ჩვენო დედებო, ჩვენო ძეგლნო დედათ ჩირაღანო, თქტუნ, რომელთაც გიყვარდათ ქმრები თქტუნ თავზედ მეტად, და ყოველი იმათი სიტყუა ღიღის მორჩილებით მიიღებოდა თქტუნგან; აბა ახლა აიხედეთ, დბ ერთი მსხედეთ თქტუნ შეილებს, თუ რა, მღვდმარეობაში არიან! ოცჯერ რომ უთხრათ ჩუშნ ცოლებს, ამ ოცში ერთსაც არ მიაქცევენ ყურადღებას. ყურადღებას ვილა ჩივის, იქნება ისეთაც შემოგვიტეონ, რომ ხის ფურცელივით გვათროლონ ერთი საათი მეტი — ტყვილათ კი არ არის ბრძენთაგან ნათქვამი: დედაჲცის გაწევამ ცხრა უღელსა ზარ-კამბეჩის ძალა დაჰძლიაო. — მართლად და, ასე არის ბატონო, და, რომ არ გეგბუებიან — აი ბატონო, მოგახსენებთ: ამ დღეებში, ჩემი მეუღლე, ესე იგი: ჩემთან უღლის გამწევი ცოლი (კარგათ არ ეწევა უღელს) ატყდა, ამაღამ მე ლოტოზე მადიებარო, ერთა ექსი თუ შეიღი თვის ძუძუ-მწოფარა ყმაწილი გეყავს ბატონებო, და რადგანც სამსახურში იმდენი ჯამაგირა არა მაქვს ძიძა დაიჭირო. თითო

წოდებს ძუძუს; ლოტოზედ მიედიეარო და თუ ემაწვი-
ლი ბსტყდესო, მეზობელი დედაკის სახელი დამისახელო, ის
დედაკაი შემოაყენინე და ის მოაწოდებს ძუძუსო. უმალო,
არ იქნა! დედაცო, ღეთის გულისათვის, დაღო მინ, დაღო შენ
ქერქში, ჩენი საქმე არ ირის! მე ერთი საწყდო ჩხობიცი ვარ
რაც ოჯახს მოსცდები, ერთ იმოდენას წააგებ! შენ არ მო-
მცდდე, არ იშლის! წასვლას! შეიქნა ღამის თერთმეტი საათი,
ატყდა ემაწვილი, ტირის, ძუძუ უნდა. გაეგზავნე დედაკათნ,
სძინავს! მე თითონ წაველ, შევეხვეწე, მოდის: — ძლევს ძუძუს,
არ იკერს, — რა ექნა, ვის მიემართო? ზამთარი! ცივა! წა-
მოვაღლე ფარანს კელი, გულს მოსუღიშა, ერთი ბიჭი გეყვებს
ისიც ჩემ ქალბატონს თან წაუყვანია, მეზობელი დედაკაი
მოუყენე მტირალა ემაწვილს, და ფეხების მტერევით მიველ.
რაც ძლი მქონდა, ჩამისევარ ზარს; გამოდის ბიჭი, არ მი-
შეგბს სასლში, ბრძანება მძკეს, კაცი არავინ უნდა შეუშოვო,
სულცარიელი ქალები არიანო და თაშაშობენო; ქალბატონმა
მიბრძანაო, ქალების კრებაში, კაცს ხელი არა აქვსო, იმ ყი-
ნებაში, ესდგებო გარეთ, ვხედავ კი რომ თანჯრებიდან, გაჩარა-
ღებული სინაოლე გამოდის. ვიყავი ამ ტანჯვაში და ბოლოს
მეორე საბოზედ, რომ გამობრძანდა ჩემი ქალბატონი ცო-
ლი და გამოუძქსი ფარნით წინ, მევე მამყო პირი, რა სა-
კდრისი არის, რომ კულის-კულის დამდე და ხალხში მარცხ-
ენიო — მოვიყვანე მინ და რა მდგომარეობაშია ემაწვილი
დაგვხედებოდა მინ, თითონ შენ იფიქრე მკითხველო, ვის სახ-

ღშიაც ლოტოს ითამაშებენ ხოლმე, ის ხომ მეტად ძალიან მოგებაში არის; ოცდა ათი და ორმოცი ქალების ჩაი, შაქარი, ხილი, სამთელი და სხვა რომ ეიანგარიშოთ სწორეთ სამა შაური შედგება! ახლა რასაც წააგებს, ის კიდევ სხვა არის — მაგრამ, ვაი შენ ჩემო თაო. ჩხუბები კი დამა-ეიწყდა! შერე ქალების ჩხუბი რა სეირია. მეტად ძალიან მუშტები იციან, იცი ამათი მუშტით ცემა, რომელია? როცა ქალი გულზედ არ მოვა, ხედებს რომ აგებს, ასტეხს შარს, შენ მომპარვო, არა შენი დეცატ-პეტი არ იყოვო. იქნება ერთი ორი კი თქოს, თორემ, იმ საათშივე კაეებში მიეარ-დება! აფსუს მშენიერებაე, რომ ასე უპატიურებას მიე-ცემი ხოლმე ზოგჯერ, შენის წან დაუხედაობით! — ღიახ, და-იშლებიან, ან მეორე საბთზე, ან მესამეზედ, — ზოგი მზიარუ-ლად, რასავეირველია ვისაც ფულები მოუგია, ზოგი მოწყე-ნის სახით — ერთსაც და მეორესაც ისე დაეძინებათ, რომ მეორეს დღეს შუადღემდონ ტ. ბილათა სძინაეთ, — სახლკარი კი წყალს მიაქეს; აქ თუნდა ცისკარი დარეკონ, თუნდა წირვა. — ის მაშინ ამას აღარ დაგიდევ. შვილებისა ხომ არ, ესმისრა, საყდრისას რას გაიგებს. — აჰ წინაზედ, ერთს ქუ-ჩაში, დაბალს სახლში, ძალიან გაჩაღებული იყო ოთახები; რომ შევიხედე, ელდა მეცა იმდენი ქალები ისხდნენ; ერთს გახურებულს ლოტოს თამაშობაში იყენენ, დიდი ყაყანი ჰქონდათ, ზოგს თავი ჩაეკიდნა მეტის უძილობით, მაგრამ მაინც ნომრებს არ ეშვებოდა; ზოგს დასცხომოდ და თით-

ქოს ბუზებს იგერებდა; მეტად სასოებით თამაშობდნენ, თი-
თქოს ერთს საშინელ სახალხო საქმეში არიანო და ბაასო-
ბენო. უყურე, უყურე, დანანებით თავი გბეიქნიე და წა-
მოველ გულჩათხრობილი, როდესაც ქუჩის ბოლოს მიუ-
ახლოვდი, ერთისსახლის ფანჯარაში ფარდა იყო ჩამოთარე-
ბული არ შავიხედე, ენახე, მრგვალ სტოლს შემოხვევნიან ოთხი
პატარა ყმაწვილები, შუაში ჩჯდომია დედა და ასწავლის
წიგნს, მეორე კუთხეში იჯდა ჩინოფნიკი ერთი ხანში შესუ-
ლი, და გაზეთს კითხულობდა. შექველია, მამა იყო, ამ
ყმაწვილებისა. აბა ახლა ჩემო კეთილო მკითხველო, შეამო-
წმე ეს ორი სცენა; ამაში, რომელნი უკეთ ატარებდნენ
დროს, თუთან მიხვდი. — მაგრამ ეს რას ეანბობ ამას, ვის
ესმის ეს ნათქვამი: წაიკითხამენ ამ სტატიას ჩვენი ოჯახის
ამშენებელი ქალები, და იტყვიან: ილაპარაკებს, ილაპარაკებს
და დაჩუბდება. — ყმედს კაცსა ყოველთვის მუნჯი მოღალა-
ვსო. თქუენი ნებაა ჩემო ბატონებო, მაგრამ ჩვენ კი ჩვენ-
სას არ მოვიშლით, — თუ კი თქვენ ლოტოს არ ეშვებით,
ჩვენ რაღბთ უნდა მოვიფიქროთ და საქვეყნოდ არ გამოვიტა-
ნოთ ყოველი ზნეობის შემარყეველი. ზოგს, თუ ენახე რამ
კიდევ შესანიშნავი ლოტოზედ, შემდგომს მოვილაპარაკებ
ცისკრის მკითხველებთან.

თაეხედი.

1868 წელს

ოქტომბრის 10-სა დღესა.

რ ე ღ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ .

მომავლის 1869 წლიდან ჩუქნი „ცისკარი“ თავისი „გუ-
თნის-დედით გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე თანამშ-
რომელთ შემწეობით, რა მიმართულებითაც და რომელთ თა-
ნამშრომელთ შექმნობითაც გამოდიოდა. ჩუქნი ვერას ვიტყვით
შესახებ ჟურნალსა ამის მეტს, რომ საზოგადოებამ საკმაოდ
სწრაფად აღიარებდა ჟურნალისა დაღვაწლიც გამომცემელისა თო-
რმეტის წლის განმავლობაში. მხოლოდ ამას ვითხოვთ,—ვისაც
სურდეს დაბარება „ცისკრისა“ და „გუთნის-დედისა“ დროთ
ბუნობის რედაქციას და თან წარმოადგინოს ხვედრი ფასი.—

სია 1869 წლის

რაიკარზედ კელის-მომწერთა:

ტ ფ ი ლ ი ს შ ი .

1. თ. გრიგოლ ორბელიანი 3 წიგნი
სუმონ ზუბალოვი.

თ. იასე ანდრონიკოვი.

თ. გიორგი მუხრანსკი.

კოსტანტინე ზუბალოვი.

კნ. თამარ მელიქოვისა.

კნ. ნინა ჩოლაყაშვილისა.

10. კოსტანტინე მამაცოვი.

პ ი ა ტ ი გ ო რ ს კ შ ი .

11. თ. ზაქარია ტყეშელაშვილი.

„ცისკრის“ დაბრუნება შეიძლება ამ სახით.

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. და-
მატებით, 7 მან.

სხვა ქვეყნებში გაუგზავნელად დაუმატებლივ 7 მან. და-
მატებით, 8 მან.

რედაქცია იმყოფება ქუციას, საკუთარს კერესელიძის სახ-
ლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიე-
რთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქციას, მაშინვე გვაცნო-
ბოს ამ აღრესით:

„ცისკრის“ რედაქციაში ტფილისს.

Дозволено цензурою, октября 15.-1868